საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 50 (323) ● ხუთშაბათი, 26 მარტი, 1992 წელი ● ფასი 1 მანეთი.

თბილისი

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს

ამ მისამართით თბილისში კვლავ მოდის წერილები და დეპეშები სხვადასხვა ქვეყნიდან. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს.

დიდი კმაყოფილებით შევიტყვეთ, რომ ახალ საპატიო პოსტზე აურჩევიხართ. მინდა გულითადად მოგილოცოთ და გისურვოთ დიდი წარმატებანი.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი უდიდესი ავტორიტეტი და თქვენ მიერ გამოვლენილი შორსმჭვრეტელი და გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწის თვისებები, უდავოა, ფასდაუდებელი წვლილი იქნება იმაში, რომ თქვენი მშობლიური საქართველო თანდათანობით და მტკიცედ დაადგეს დიალოგსა და ცივილიზებულ მოლაპარაკებაზე დაფუძნებული შინაგანი კლიმატის შექმნის გზას მშვიდობისა და დემოკრატიის სულ უფრო მაღალი მიზნების მისაღწევად.

როცა ამ გრძნობებს გამოვხატავ, კარგად მახსოვს ჩვენი არაერთგზისი სასიამოვნო შეხვედრები, და გთხოვთ მერწმუნოთ, რომ უაღრესად დიდ პატივს გცემთ, აგრეთვე გულწრფელად და მხურვალედ ვუსურვებ კეთილდღეობასა და აყვავებას თქვენს ოჯახსა და პირადად თქვენ.

ჯულიო ანდრეოტი,
იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ჩემო ძვირფასო მეგობარო,
მინდა გისურვოთ დიდი წარმატებანი იმ პასუხსაგებ თანამდებობაზე, რომლის ასრულებაც საქართველოში დაიწყეთ. იმედი მაქვს, რომ თქვენი გამოცდილება და უკვე დადასტურებული თვისებები ხელს შეუწყობს დემოკრატიის დამყარებას, რაც, თავის მხრივ, წაადგება საერთაშორისო გაერთიანებაში ამ რესპუბლიკის შესვლას.

ფრანსისკო ფერნანდეს ორდონიესი,
ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი

ძვირფასო ედუარდ,
დიდი კმაყოფილებით შევიტყვე, რომ ახალ მაღალ პოსტზე დაგინიშნიხართ, რაც მეტად მნიშვნელოვნად მიმაჩნია საქართველოს მომავლისათვის, ამიერკავკასიის რეგიონში სტაბილიზაციისა და ევროპაში თანამშრომლობისთვის.

დარწმუნებული ვარ, რომ უდიდესი ავტორიტეტის მეოხებით, რომელიც მსოფლიოში გაქვს, და შენი ფართო გამოცდილების წყალობით, სწრაფად შეიქმნება საერთაშორისო გაერთიანებაში საქართველოს რაც შეიძლება მალე შესვლის პირობები, და შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ იტალიის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა ეს წუთი რაც შეიძლება სწრაფად დადგეს.

კმაყოფილებით ვიხსენებ ჩვენს ამასწინანდელ შეხვედრას მოსკოვში და ველი უახლოეს შეხვედრებს შენთან, გთხოვ მერწმუნო, რომ დიდ პატივს გცემ, და ერთხელ კიდევ გილოცავ.

ჯანი დე მიქელისი,
იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი

ბატონო თავმჯდომარევ! მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ცნობს საქართველოს რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. გერმანელი ხალხი მიესალმება საქართველოს რესპუბლიკას, როგორც მსოფლიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ახალ წევრს.

თქვენი ქვეყანა, რომელიც თავისუფლად განსაზღვრავს თავის ბედს, აპირებს დაადგეს დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზას.

საქართველოს რესპუბლიკა სრული მოცულობით უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებსა და უმცირესობათა უფლებებს. იგი აღიარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებიდან, ჰელსინკის საბოლოო აქტისა და პარიზის ქარტიიდან გამომდინარე ვალდებულებებს. ამას განეკუთვნება აგრეთვე სამართლებრივი პრინციპი, რომლის თანახმად სადავო საკითხები აღარასოდეს არ უნდა გადაიჭრას ძალის გამოყენებით.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მზად არის დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკასთან და დაიწყოს შესაბამისი მოლაპარაკება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ეცდება, რომ საქართველოს რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა ვითარდებოდეს მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით. გარდა ამისა, იგი განსაკუთრებით მტკიცედ მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკა შეიყვანონ ევროპის არქიტექტურაში.

გერმანელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, და საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას გისურვებთ ბედნიერებასა და წარმატებებს.

გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარევ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ თქვენდამი ჩემს დიდ პატივისცემაში.

რიხარდ ფონ ვაიცზეკერი,
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ღრმად პატივცემულო ედუარდ შევარდნაძევ!

სომხეთის სამოციქულო ეკლესიისა და მისი მრევლის სახელით მხურვალედ გილოცავთ არჩევას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამ მაღალ პოსტზე. ჩვენ გამოვხატავთ გულწრფელ სიხარულს და იმედს, რომ თქვენი მსოფლიო ავტორიტეტითა და თქვენთვის დამახასიათებელი სიბრძნით და მგზნებარე მოღვაწეობით აღადგენთ სტაბილურობასა და სიმშვიდეს თქვენს ისტორიულ სამშობლოში. ვერ დავივიწყებთ რა გულიანად ზრუნავდით წარსულში სომხური ეკლესიისა და ჩვენი თემისათვის საქართველოში.

ღმერთმა მოგცეთ თქვენ და თქვენს თანამებრძოლებს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე, რათა წარმატებით შეასრულოთ თქვენი ისტორიული მისია, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენთვის გულწრფელად საყვარელი პატიოსანი ქართველი ხალხის აყვავებას. დაე, განამტკიცოს მან საუკუნოვანი მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის.

ღრმა პატივისცემით
ვაზგენ პირველი,
სრულიად სომეხთა კათალიკოსი.

ახალი ამბები

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

კომენდატურის ცნობა

სასიხარულო ამბავი უნდა გაუწყოთ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ბელა ლანჩავამ. — ღამით ქალაქში სიმშვიდე იყო...

არადა, საუკეთესო ახალი ამბავი ყოველგვარი ახალი ამბების უქონლობაა. მრავალი თბილისელისთვის ღამით სროლის შეწყვეტა ყველაზე სასიამოვნო ინფორმაციაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმნიშვნელო შემთხვევები იყო. კომენდანტის საათის დარღვევისთვის დაკავებულია 20-მდე კაცი, სოფელ დიღომში ამოვიღეთ ორი ავტომატი.

კომენდანტის მისაღებში, მიუხედავად იმისა, რომ დილაადრიანია, მრავალი მომსვლელია. მოდიან ისინი, ვისაც ღამით საბუთები ჩამოართვეს კომენდანტის საათის დარღვევისთვის.

გზად მომავლისაკენ!

პორტუგალიის მოსკოვის საელჩო გამოხატავს თავის პატივისცემას საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის მიმართ და, წარმოადგენს რა ევროპის თანამეგობრობის ხელმძღვანელი ქვეყნის დიპლომატიურ მისიას, პატივი აქვს გადმოგცეთ „საქართველოს რესპუბლიკის ცნობის განცხადების" თანდართული ტექსტი.

საელჩო სარგებლობს შემთხვევით, რათა განუახლოს საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობას მისი ღრმა პატივისცემის გამოხატულება.

„საქართველოს რესპუბლიკის ცნობის განცხადება"

ევროპის თანამეგობრობა და მისი წევრი ქვეყნები მიესალმებიან საქართველოს რესპუბლიკის მიერ გამოხატულ მზადყოფნას შეასრულოს 1991 წლის 16 და 31 დეკემბერს მათ მიერ მიღებული დეკლარაციით — „აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა ცნობის პირობებით" გათვალისწინებული მოთხოვნები. ამგვარად, ისინი მზად არიან დაიწყონ საქართველოს რესპუბლიკის ცნობა.

ევროპის თანამეგობრობა და მისი წევრი ქვეყნები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილი რესპუბლიკა მზად არის შეასრულოს ზემოაღნიშნული დეკლარაციის პირობები.

საქართველოს შემთხვევაში ისინი, კერძოდ, მიესალმებიან:

საქართველოს რესპუბლიკის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიასა და ჰელსინკის დასკვნით აქტში, პარიზის ქარტიასა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში ხელმოწერილი ყველა საერთაშორისო ვალდებულების მიღებას, განსაკუთრებით კი კანონის უზენაესობას, დემოკრატიასა და ადამიანთა უფლებებთან დაკავშირებით;

საქართველოს რესპუბლიკის მიერ ეთნიკური და ეროვნული ჯგუფებისა და უმცირესობების უფლებათა გარანტიებს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში ხელმოწერილი ვალდებულებების მიხედვით;

საქართველოს რესპუბლიკის მზადყოფნას აღიაროს და პატივი სცეს სახელმწიფოთა საზღვრების ხელშეუხებლობას, რომლებიც მხოლოდ მშვიდობიანი გზებითა და საერთო თანხმობით შეიძლება შეიცვალოს;

საქართველოს რესპუბლიკის მზადყოფნას, შეუთანხმდეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში არბიტრაჟის საშუალებით გადაწყვიტოს სახელმწიფო მემკვიდრეობასთან და რეგიონალურ უთანხმოებებთან დაკავშირებული ყველა საკითხი;

საქართველოს რესპუბლიკის, როგორც უბირთვო სახელმწიფოს მიერ განიარაღებასთან და ბირთვულ გაუვრცელებლობასთან, ასევე უსაფრთხოებასთან და რეგიონალურ სტაბილურობასთან დაკავშირებული შესაბამისი პირობების მიღებას.

საფრანგეთის საელჩო ადასტურებს თავის პატივისცემას საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის მიმართ და აქვს პატივი აცნობოს მას, რომ, რაკი ევროპის გაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ საქართველოს რესპუბლიკა აკმაყოფილებს გაერთიანების მიერ 1991 წლის 16 დეკემბერს განსაზღვრულ „ხელმძღვანელ იდეებს ახალ სახელმწიფოთა ცნობის შესახებ", საფრანგეთი ცნობს საქართველოს რესპუბლიკას.

საფრანგეთის საელჩო სარგებლობს შემთხვევით, რათა განუახლოს საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობას მისი ღრმა პატივისცემის გამოხატულება.

ევროპის გაერთიანებამ მიიღო გადაწყვეტილება — ცნოს საქართველო

ევროპის გაერთიანებამ განაცხადა, რომ მზად არის ოფიციალურად ცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა — ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან უკანასკნელი რესპუბლიკისა, რომელსაც ჯერ არ მიუღია საერთაშორისო აღიარება.

ბრიუსელში გამოქვეყნებულ კომუნიკეში გამოთქმულია კმაყოფილება იმის გამო, რომ ამიერიდან ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი ყველა სახელმწიფო შეესაბამება შარშან დეკემბერში მათი აღიარების პირობებით თორმეტი ქვეყნის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს.

როგორც კომუნიკეშია აღნიშნული, საქართველოს ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ისინი შეასრულებენ ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტიდან, პარიზის ქარტიიდან და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე მიღებული სხვა დოკუმენტებიდან გამომდინარე ყველა ვალდებულებას, ისინი აგრეთვე იძლევიან გარანტიებს, რომ დაიცავენ ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, იმ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც საზღვრები ურღვევია და სახელმწიფოთაშორისი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით და ძალის გამოუყენებლად. მათ ვალდებულება იკისრეს შეასრულონ ყველა მორიგება განიარაღების, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და რეგიონალური სტაბილურობის უზრუნველყოფის დარგში.

იმავე დღეს ბელგიამ, პორტუგალიამ და საფრანგეთმა განაცხადეს, რომ ცნობენ საქართველოს. ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ ბელგია მხარს დაუჭერს საქართველოს თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წევრად მისი მიღების შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატები დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს საქართველოსთან

მოსკოვს წარგზავნილი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პრესატაშეს მოადგილემ კარლ შტოლცმა საქინფორმის კორესპონდენტებს ტელეფონით გადასცა მის მიერ 24 მარტს თეთრი სახლის პრესატაშესაგან მარლინ ფიცუოტერისაგან მიღებული განცხადების ტექსტი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა** — ნათქვამია განცხადებაში,— გადაწყვიტა გადადგას სასწრაფო ნაბიჯები საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად, რომლის დამოუკიდებლობა შეერთებულმა შტატებმა შარშან 25 დეკემბერს ცნო. ამ ბოლო კვირეების მანძილზე საქართველოს ახალი მთავრობა ახორციელებს ღონისძიებებს ეროვნული თანხმობის მისაღწევად, იგი აცხადებს, რომ განზრახული აქვს გამართოს პარლამენტის არჩევნები საქართველოში წლეულს.

ემყარება რა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ამ მოქმედებას და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძესა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს შორის პოლიტიკის, ეკონომიკისა და უშიშროების საკითხებზე მოლაპარაკების შედეგებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს მიაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით დაინტერესებულია ამერიკის შეერთებული შტატები.

თბილისში, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, გაიხსნება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, ნათქვამია აგრეთვე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ხელს შეუწყობს საქართველოს უშუალო მონაწილეობას საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მუშაობაში.

ესპანეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა

ესპანეთის მთავრობამ ცნო საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ამ საკითხზე ევროპის გაერთიანების ქვეყნების გადაწყვეტილების შესაბამისად, იუწყება ესპანეთის საინფორმაციო სააგენტო. დიპლომატიური წყაროების დამოწმებით იგი აღნიშნავს, რომ ესპანეთის მინისტრთა საბჭო უახლოეს ხანში მიიღებს გადაწყვეტილებას ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანსისკო ფერნანდეს ორდონიესმა მისალმება გაუგზავნა ედუარდ შევარდნაძეს, რომელთანაც გულთბილი ურთიერთობა აქვს მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ახლანდელი თავმჯდომარე იკავა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს, ხაზს უსვამს ესპანეთის საინფორმაციო სააგენტო.

საბერძნეთმა გამოაცხადა, რომ ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას

ათენი, 25 მარტი. საბერძნეთმა გადაწყვიტა ცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ნათქვამია დღეს აქ გამოქვეყნებულ საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. საბერძნეთს, აღნიშნულია განცხადებაში, სურს განავითაროს პოლიტიკური, კულტურული და სავაჭრო, აგრეთვე განამტკიცოს მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკასთან.

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ათენმა გამოაცხადა მას შემდეგ, რაც ამის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო ევროპის გაერთიანების ფარგლებში. როგორც იუწყებიან, თბილისში მალე გაიხსნება საბერძნეთის საკონსულო.

იგი სამშობლოს დასჭირდა

არ ცხრება ინტერესი ბატონ ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების გამო. ამას მოწმობს უცხოეთის პრესაში დაბეჭდილი მასალები და დეპეშები, რომლებიც მოდის საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში. ყველა მათგანს ერთი აზრი აერთიანებს — კატასტროფამდე მისულ საქართველოს უეჭველად იხსნის ედუარდ შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტი, მისი მოქნილი პოლიტიკა, დიდი ნიჭი და ჭკუა, პირადი გამბედაობა.

აი რას წერს „ლოსანჯელეს თაიმსის" მოსკოველი კორესპონდენტი **კერი გოლდმანი**:

—მე გახლდით ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე მოსკოვში, და უპირველეს ყოვლისა მომხიბლა მისმა სიმშვიდემ, გადაწყვეტილების შეუვალობამ, დაჯერებულობამ. როგორ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო და შენი ხალხი, რომ არ შეუშინდე თავზეხელაღებულ ავტომატიან „ოპონენტებს", ყველა სახელმწიფო სტრუქტურას, რომელიც მოშლილია, აბსოლუტურ ქაოსს, უკიდურეს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ზნეობრივ ნგრევას. წარბი არ შეხარო, არ შეკრთე, ხელი არ აიღო, შესაძლოა, შენს საბედისწერო გადაწყვეტილებაზე. ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებამ მისი ავტორიტეტი მსოფლიოს თვალში მეტად გაზარდა, ვინემ მისმა პოლიტიკურმა მოღვაწეობამ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდში.

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრის გამგეს აკადემიკოს ალექსი ემელიანოვს არ უკვირს ბატონ ედუარდ შევარდნაძის ნაბიჯი და ფიქრობს, რომ მან დააგვიანა კიდეც სამშობლოში დაბრუნება:— სანამ თქვენი უსუსური პრეზიდენტი, გამსახურდია რესპუბლიკას გააჩანაგებდა, ქართველებს ერთმანეთს გადაჰკიდებდა, სანამ თბილისს გადაწვავდა, ბატონ ედუარდს მანამ უნდა ეღონა რამე. მაგრამ არა უშავს, მაინც ღვთისგან დალოცვილები გაჩენილხართ ქართველები, ედუარდ შევარდნაძე რომ გყავთ. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე მოვა გონს საქართველო, დამშვიდდება და კვლავაც აყვავდება ასეთი მეთაურის ხელში: ჩვენ კი ბატონ ედუარდის სახით დიდი იმედი დავკარგეთ. რუსეთს ჰაერივით სჭირდება დღეს მისი გამჭრიახობა: მახსოვს, როცა ბატონი ედუარდი საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადადგა, მისმა ერთმა თანამშრომელმა მითხრა, ერთ დღეში 3 ათასი დეპეშა მივიღეთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდანო. რუსეთის შორეული სოფლიდან გლეხი ქალები სწერდნენ ბატონ ედუარდს — „ნუ წახვალთ, ნუ გადადგებით, ჩვენი შვილების სიმშვიდისათვის, მათი მომავლისათვისო".

პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ვადიმ ბაკატინი აღტაცებას ვერ მალავს და გვთხოვს ქვეყანას ვამცნოთ მისი ნათქვამი:

— მსოფლიო ისტორიაში ანალოგი არა აქვს ედუარდ შევარდნაძის საქციელს. და ეს მარტო დიდი ვაჟკაცობა როდია, ასევე დიდი თავდადების, ერთგულების, მოწიწების, რწმენის, სიყვარულის გამომხატველია მშობლიური ქვეყნისა და ერის მიმართ. უფრო მეტიც, ეს ნამდვილი გმირობაა. მინდა გულწრფელად მოვეფერო ბატონ ედუარდს, გავამხნევო მასზე შეყვარებული პატიოსანი რუსეთის სახელით და ვუთხრა, რომ კიდევ ერთხელ თავს ვხრი მის წინაშე, საქართველოზე მლოცველი რუსი. და გწამდეთ, თუ კი რამეში დაგჭირდებით, მუდამ თქვენს გვერდით ვიქნები.

თადარიგის ადმირალმა, ოთხმოც წელს გადაცილებულმა აკაკი გვალიამ საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში მოგვძებნა და გვთხოვა ჩვენი გაზეთის მკითხველებს გავაცნოთ მისი ნაამბობი:

— ორმოცი წელი ვმუშაობდი გასაიდუმლოებულ ორგანიზაციაში. ოცდაათი წელი ცოლ-შვილთან ერთად გავატარე ვლადივოსტოკში. მთელი ჩემი ცოდნა და ენერგია წყალქვეშა ხომალდების მშენებლობას მივუძღვენი. ხელისუფლების სათავეში გორბაჩოვის მოსვლამდე გავედი პენსიაზე და საქართველოში მინდოდა დაბრუნება, მაგრამ ნურას უკაცრავად. ასე მითხრეს, კიდევ ათი წელი ვლადივოსტოკიდან ფეხს ვერ მოიცვლი, მერე კი ჩვენ მოგიძებნით გზასო. ასე და ამრიგად მთელი ჩემი ცხოვრება სხვისი ნების ტუსაღი ვიყავი. ხოლო როცა ტოტალიტარულ სახელმწიფოს საძირკველი შეარყიეს გორბაჩოვმა და შევარდნაძემ, წერილი მივწერე ბატონ ედუარდს. მალე მოსკოვში გადმომიყვანეს, ფართო ბინა მომცეს და დიდი პენსიაც დამინიშნეს. გმადლობთ ჩემო შვილო, რომ სრულიად უცნობს გამომიწოდე ხელი.

რით ვუპასუხოთ ჩვენ, ხალხმა? ქართველი ერი ერთ მუშტად უნდა შეიკრას. მინდა ვთხოვო ჩემი მშობლიური კუთხის, სამეგრელოს მკვიდრთ, მართალია, ბევრი სისხლი დაიღვარა იქაც, არაერთმა უნამუსომ გასაჭირზე ხელი მოითბო, ლაფიც დაგვასხა, გული დაგვიკოდა, არაერთი დაუმსახურებელი შეურაცხყოფაც მივიღეთ, მაგრამ საქართველოს ნათელი მომავალი მოითხოვს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მხარში ამოვუდგეთ! რა დროს მეგრელობა და გურულობაა, ერის ბედი ბეწვზე კიდია!

კლარა აბრამია.
ქ. მოსკოვი.

ნომერში:

- ⊙ საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის ძირითადი მიმართულება საკუთრების განსახელმწიფოებრიობაა. მე-2 გვ.
- ⊙ დუმილი ყოველთვის არ არის სისუსტის ნიშანი. მე-2 გვ.
- ⊙ რა პირობებმა წარმოშვა დაპირისპირება ინტელიგენციასა და მასას შორის? მე-3 გვ.
- ⊙ 25 მარტი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეა. მე-4 გვ.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში

საკითხები, რომლებსაც ცხოვრება აყენებს

24 მარტს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მორიგ სხდომაზე განიხილა რკინიგზაზე შექმნილი ვითარების საკითხი. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა რეზო ვაშაკიძემ თავის ინფორმაციაში გააანალიზა აქ შექმნილი მძიმე მდგომარეობა, წარმოადგინა კონკრეტული წინადადებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სახელმწიფო საბჭომ განიხილა ეს წინადადებანი და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი რესპუბლიკაში რკინიგზის ნორმალური მუშაობის აღსადგენად. რეკომენდებული იყო შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც გულდასმით შეისწავლის ამ პრობლემის ყველა ასპექტს და წარმოადგენს შესაბამის პროგრამას.

სხდომაზე საფუძვლიანი სჯაბაასი გაიმართა საქართველოს პარლამენტის არჩევნების დებულების პროექტების გარშემო, რომლებიც წარმოადგინეს დროებითი მთავრობის კომისიის სახელით — პოლიტიკური ორგანიზაცია დასის თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ ხმალაძემ და ეროვნულ კონგრესში შემავალი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ჯგუფის სახელით — სახელმწიფო საბჭოს წევრმა თემურ ფიფიამ. გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი, როგორც მომავალი პარლამენტის წევრების რაოდენობის, ისე თვით არჩევნების მოწყობის სისტემის თაობაზე. ამასთან ყველა დაეთანხმა იმ აზრს, რომ მომავალმა არჩევნებმა საქართველოში უნდა უზრუნველყოს თითოეული მოქალაქის თავისუფალი ნების გამოხატვა, რადგან ახალი პარლამენტი უნდა გახდეს ჭეშმარიტი დემოკრატიისა და საქართველოს ყველა მცხოვრების თავისუფლების გარანტი. გადაწყდა შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც დეტალურად გააანალიზებს პროექტების ყველა წარმოდგენილ ვარიანტს და შეიმუშავებს საარჩევნო სისტემის ისეთ მოდელს, რომელიც მისაღები იქნება ყველასათვის. სხვათა შორის, კომისია ცხრა კაცის შემადგენლობით ჩამოყალიბდა სახელმწიფო საბჭოს ამავე სხდომაზე.

სახელმწიფო საბჭომ მოისმინა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას სახლისა და არქივის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გურამ შარაძის ინფორმაცია ამას წინათ ხანძრის გამო დაზიანებული კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის მდგომარეობის შესახებ და შესაბამისი დავალებები მისცა ქალაქ თბილისის მერიას და რესპუბლიკის პროკურატურას შენობის აღდგენის, მისი საიმედო დაცვის უზრუნველყოფისა და ხანძრის გარემოებათა გამოძიების მიზნით.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

ედუარდ ედიბერიძე,
თენგიზ ნიკოლაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დააკმაყოფილა გარდაბნის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თხოვნა და გამოყო თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხულოს რაიონის სტიქიით დაზარალებული ოჯახების დასასახლებლად საკარმიდამო მიწის ფონდში 8 ჰექტარი ქვიანი ნასვენი.

გარდაბნის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობას დაევალა გამოყოფილ ფართობზე ისტორიული ძეგლის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს; მშენებლობის წინ მოაწყოს ამ ფართობზე გავრცელებული გრუნტების სპეციალური საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა.

დამტკიცდა ადგილობრივ საკრებულოთა გამგეობის შემადგენლობა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

დაამტკიცა **ხარაგაულის რაიონის** საკრებულოს გამგეობის შემადგენლობა: გოგი ლაცაბიძე — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, პრამონ აბრამიშვილი, დარეჯან გელაშვილი, ვიტალი მეტრეველი, ლამარა ფერაძე, ვანო გაჩეჩილაძე — გამგეობის წევრები.

მიიღო **ხონის რაიონის** ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გ. კუხალაშვილის წინადადება და დაამტკიცა ხონის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს შემადგენლობა: თენგიზ რაზმაძე, კოტე გვილავა — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები, ნიკა სანოძე, ტურფა კალანდაძე, თეიმურაზ სალარაძე, გიორგი გეგენიძე, როინ სანოძე — გამგეობის წევრები.

დანიშვნები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დანიშნა:

თეიმურაზ ვარლამის ძე დვალი — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსად.

მიხეილ ფიმიკოს ძე გვიშიანი — საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

ავთანდილ ნოდარის ძე სილაგაძე — საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრის მოადგილე **მერაბ ალექსანდრეს ძე კლიმიაშვილი** — ევროპის გაერთიანების საკონსულტაციო-ტექნიკური დახმარების პროგრამის ეროვნულ კოორდინატორად საქართველოს რესპუბლიკაში. მას დაევალა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ორ კვირაში წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წინადადება საკოორდინაციო ცენტრის შექმნის შესახებ და ამ ცენტრის დებულების პროექტი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ტერიტორიული და საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებსა და ბუღალტრებს, რომლებმაც 1991 წლის დეკემბერში ჩაატარეს გამოკლებულ დეპუტატთა არჩევნები, ვთხოვთ, მობრძანდნენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საფინანსო ანგარიშის ჩასაბარებლად ა. წ. 28 მარტის ჩათვლით დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე (მისამართი: დადიანის ქ. № 5, შემოსვლა ქალაქის მერიის შენობიდან).

პრივატიზაცია:

როგორი ბაზარი გვსურს?

საქართველოში სოციალურ ეკონომიკური განვითარების ყველა ძირითადი საკითხის გადაჭრის მთავარი პირობა ეკონომიკაში პარტიულ-სახელმწიფო აპარატის მმართველობის უარყოფა და სახელმწიფო მონოპოლიისაგან თავის დაღწევაა. არსებული „ნახევრადრეფორმირებული ეკონომიკა", შეიძლება ითქვას, დღეს იტანჯება. იგი გახდა აუტანელი და საშიში. მდგომარეობა არა მხოლოდ კრიზისულია, არამედ კატასტროფულიც. ეკონომიკა ეცემა სწრაფი ტემპით, მოგვიახლოვდა ჰიპერინფლაცია.

ნებისმიერ რეალურ, კონკურენტუნარიან ბაზარს ახასიათებს თავისუფლების ელემენტები, მაგრამ იგი სრულყოფილებას ვერასდროს ვერ აღწევს. მართლაც ძნელია წარმოიდგინო ისეთი ბაზარი, სადაც დაცული იყოს თავისუფალი ბაზრისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. ნებისმიერ ბაზარზე ხდება ინფლაციის გავლენით საბაზრო პროცესების დამახინჯება, თავისუფალი ბაზრის რეჟიმიდან გადახრა, მაგრამ ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ზღვარდებულია.

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის ძირითად მიმართულებად, სავსებით სამართლიანად, საკუთრების განსახელმწიფოებრივებაა მიჩნეული.

პრივატიზაცია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ უდიდესი პოლიტიკური აქტია, რომლის განხორციელებაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენთან ეკონომიკური რეფორმის მკვდარი წერტილიდან დაძვრა, საქართველოში. ამ ეტაპზე მისი სტრატეგიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას კონკურენციული საბაზრო გარემო, რომლის გარეშე შეუძლებელია კრიზისიდან თავის დაღწევა. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ პრივატიზებული ქონება უნდა გადაეცეთ ისეთ საზოგადოებას, რომელიც არასდროს არ ყოფილა კერძო მესაკუთრე და რომელსაც არ გააჩნია კერძო მეწარმეობის გამოცდილება და ჩვევები, ადვილი წარმოსადგენია ის სირთულეები, რაც დაკავშირებულია ამ პროცესთან.

პრივატიზაციას, რა თქმა უნდა, საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფო ქონების გამოსყიდვა, მაგრამ მასზე ორიენტირის აღება არარეალურია. ვინაიდან ასეთი დაბალი ცხოვრების დონის პირობებში შეუძლებელია მასობრივი გაყიდვა მცირე საწარმოებისაც კი. მოსახლეობა და არასახელმწიფოებრივი სტრუქტურები მოკლებული არიან შესაძლებლობას საკუთარი სახსრების ხარჯზე შეიძინონ სახელმწიფო საწარმოთა ფონდები. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, აგრეთვე, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფულად დანაზოგებში არსებითი განსხვავებანი, მნიშვნელოვანი უკანონო სახსრების არსებობა და სხვ. ყოველივე ეს შექმნის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლისათვის არათანაბარ და, რაც მთავარია, არასამართლიან სასტარტო პირობებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მახინჯი ფორმით საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფა.

ჩვენი აზრით, ფართოდ უნდა დაინერგოს განვადებით გაყიდვა, განსაკუთრებით მცირე ზომის საწარმოებისა, სადაც სავსებით მიზანშეწონილია პრივატიზაციის ფართო მასშტაბით განხორციელება. გარდა ამისა, უნდა დაწესდეს შეღავათები აქციების ან სხვა ქონების ყიდვისას, გამოყენებული იქნეს მყიდველთა სტიმულირების სხვადასხვა ფორმები. პრივატიზაციისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დარგის ან მასში შემავალი საწარმოს თავისებურებებს: ფიზიკურად ან მორალურად მოძველებული და არარენტაბელური ობიექტები, შიდასაქალაქო ინფრასტრუქტურა და სხვა მიზანშეწონილია უსასყიდლოდ გადაეცეთ შრომით კოლექტივებს. ესე იგი საკუთრების უსასყიდლოდ გადაცემა უნდა გამოვიყენოთ როგორც გამონაკლისი ქონების ცალკეული სახეების, ღირებულების განსაზღვრული ნაწილის (ცვეთის მაღალი დონის შემთხვევაში), ზარალიანი საწარმოების მიმართ და ა. შ. ნაკლებრენტაბელური და არაპრესტიჟული საქმიანობისთვის შეიძლება გამოვიყენოთ კრედიტი შეღავათიან პირობებში, მაგრამ უნდა გამოვრიცხოთ უსასყიდლოდ გადაცემა. ამასთან, პრივატიზაცია არ უნდა შეეხოს ზარალიან ან ნაკლებრენტაბელურ სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის დარგებს, რომლებიც ტრადიციულად კერძო კაპიტალისათვის არ წარმოადგენენ ინტერესს.

სოციალური სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, რასაც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს პრივატიზაცია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმ პირებს, რომელთა ოჯახებს გასაბჭოების პერიოდში უსამართლოდ ჩამოერთვათ ქონება, ნაწილობრივ მაინც დაუბრუნდეთ იგი, ან სხვადასხვა ფორმით აუნაზღაურდეთ.

ეროვნული ეკონომიკის ორგანული ნაწილი უნდა გახდეს ე. წ. შერეული მეწარმეობა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო და კერძო ბიზნესის შერწყმას. კერძო ფირმებს სახელმწიფო იჯარით აძლევს საჭირო შენობა-ნაგებობებს, მანქანა-დანადგარებს, კრედიტს. თავის მხრივ, კერძო კონტრაგენტები თვითონ კისრულობენ სათანადო ხარისხის საქონლით წარმოების უზრუნველყოფას, ან მომსახურებას, რომელთა ფასები და ტარიფები არ უნდა აღემატებოდეს კონტრაქტით გათვალისწინებულს.

პრივატიზაციის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსახლეობის ყველა ფენისათვის სოციალური და ეკონომიკური გარანტიების უზრუნველყოფის პრობლემა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახელმწიფო საწარმოთა, როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი პრივატიზაცია არა მხოლოდ განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც კი აწყდება წინააღმდეგობებს მომხმარებელთა მხრივ. ისინი შეშფოთებული არიან აღნიშნულ საწარმოთა კერძო ფირმებზე გადაცემის შემთხვევაში საქონლის ფასებისა და მომსახურების ტარიფების მოსალოდნელი ამაღლებით. ეს შიში არ არის საფუძველს მოკლებული. პრაქტიკა ადასტურებს, რომ პრივატიზებულ საწარმოებში საქონლისა და მომსახურების ღირებულება შესამჩნევად იზრდება. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალური პასუხისმგებლობის საკითხს. ამასთან დაკავშირებით უნდა შემუშავდეს სპეციალური მექანიზმები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს კერძო სექტორს მონაწილეობა მიიღოს მის რეალიზაციაში.

მომსახურების განაწილებაში სოციალური კორექციის მექანიზმები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1) სახელმწიფო სახსრების ხარჯზე უნდა შეიქმნას სპეციალური ფონდი (საზღვარგარეთ მას „სანობათო ფონდს" უწოდებენ) მომსახურების იმ სახეების დასაფინანსებლად, რომლებსაც გაუწევენ მოსახლეობის არაფრისმქონე და დაბალშემოსავლიან ფენებს. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების კვალობაზე, სოციალური დახმარების ასეთმა სახემ განსაკუთრებით უნდა მოიკიდოს ფეხი საიჯარო შეთანხმებით მომუშავე საავადმყოფოებში; 2) მოსახლეობის აღნიშნული ფენებისათვის უნდა დაწესდეს სატარიფო დაქვითვები, რომლისაგან მიღებულ ზარალს კერძო ფირმები, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით, დაფარავენ, იმ უფრო მაღალი ტარიფების ხარჯზე, რომლებსაც ადგენენ მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის მომსახურებაზე.

თანამედროვე პირობებში განსახელმწიფოებრივების ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევენ შრომითი კოლექტივების მიერ სახელმწიფო ქონების გამოსყიდვის საფუძველზე სახალხო საწარმოების ჩამოყალიბებას. ასეთი სახით განსახელმწიფოებრივებულ საწარმოებს აქვთ სერიოზული ნაკლოვანებები. მაგალითად, ყოფილ იუგოსლავიაში, კოლექტიური თვითმმართველობის საფუძველზე, ათეული წლების განმავლობაში ცდილობდნენ მოეძებნათ მეურნეობრიობის რაციონალური ფორმები, მაგრამ ამაოდ. ასევე, უნგრეთისა და პოლონეთში წარუმატებელი იყო ანალოგიური ცდა. ამის მაგალითია ჩვენი კოლმეურნეობებიც. კოლექტიური საწარმოები, განუყოფელი საკუთრებით, პრაქტიკულად არადინამიური და მოუქნელია. გაცილებით ეფექტიანია პერსონიფიცირებული კოლექტიური (აქციონერული, საპაიო) ან კერძო საკუთრება.

სახელმწიფო საკუთრების სხვა ფორმაში გარდაქმნის კლასიკური ფორმაა აქციონერული საზოგადოებების შექმნა. ფორმალური ლოგიკის მიხედვით სახელმწიფო საწარმოთა გარდაქმნა აქციონერულ საზოგადოებებად ნიშნავს საკუთრების ფორმის შეცვლას. ამ შემთხვევაში ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებიდან სააქციო საზოგადოების საკუთრებაში. მაგრამ რეალური განსახელმწიფოებრივება შეიძლება არც კი განხორციელდეს, თუ სახელმწიფო შეინარჩუნებს აქციების საკონტროლო პაკეტს. სავსებით რეალურია, რომ ასეთი გზით კიდევ უფრო გაძლიერდეს ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვა და კონტროლი. მიუხედავად ამისა, ამჟამად ჩვენთან ფართოდ იკიდებს ფეხს სახელმწიფო აქციონერული საზოგადოებების, ხოლდინგების ჩამოყალიბების ტენდენცია. მათ ფარგლებში არსებული საწარმოები გახდებიან აქციების ჯვარედინი მფლობელნი. ასეთი ვარიანტი ეყრდნობა იმას, რომ დაბალი გადახდისუნარიანი მოთხოვნის გამო, მოსახლეობას არ შეუძლია სახელმწიფო საკუთრების ძირითადი ნაწილის გამოსყიდვა, ამიტომ რეალური პრივატიზაცია გადავადდება შესაბამისი ფინანსური რესურსების დაგროვებამდე.

მსხვილმა სახელმწიფო მონოპოლიებმა, როგორც ეს მოხდა ყოფილ გდრ-ში, უნდა მიიღონ კორპორაციის სტატუსი, უნდა შეიქმნან ისეთი აქციონერული საზოგადოებები, სადაც თავდაპირველად აქციების საკონტროლო პაკეტი აღმოჩნდება სახელმწიფოს ხელში, სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის საკუთრებაში. აღნიშნული საზოგადოებების მიერ გამოშვებული აქციების ნაწილის შეღავათიან პირობებში შეძენის უფლება მიეცემათ მათში დასაქმებულებს. ამერიკელები ამ პროცესს კორპორატიზაციას უწოდებენ. ვინაიდან პრივატიზაციის ტემპი ბევრად არის დამოკიდებული მოსახლეობისა და სხვადასხვა არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების გადახდისუნარიან მოთხოვნაზე, ჩვენთან განვითარების თანამედროვე ეტაპზე ალბათ თავისი გამართლება და უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფო აქციონერული საზოგადოებების შექმნას. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მათ შეუძლიათ გარკვეული წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში. მაგალითად, იაპონიაში რკინიგზის კორპორატიზაციის შედეგად წინათ ზარალიანმა კომპანიებმა არანაკლებ წარმატებებს მიაღწიეს, ვიდრე იაპონიის ეკონომიკის სხვა სექტორებმა.

რაც შეეხება საშუალო ზომის საწარმოების განსახელმწიფოებრივებას, ისინი შეიძლება გარდაიქმნან, როგორც სააქციო საზოგადოებებად, ასევე კოოპერატივებად და ამხანაგობებად. ამას განსაზღვრავს დარგის სპეციფიკა, წარმოების განვითარების მასშტაბები, ფონდების მდგომარეობა, ტექნოლოგიის დონე, საორგანიზაციო სტრუქტურა და სხვ.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მრავალწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მცირე ზომის საწარმოებში მმართველობა და საკუთრება ახლოსაა ერთმანეთთან. ეს უზრუნველყოფს წარმოების შედეგებით დაინტერესების ზრდას, რაც მცირე ბიზნესს ეკონომიკურად ეფექტიანს ხდის. მაშასადამე, მცირე საწარმოები ძირითადად უნდა გადავიდნენ ცალკეული მოქალაქეების, ამხანაგობების თუ კოოპერატივების საკუთრებაში.

პრივატიზაციასთან ერთად უნდა გატარდეს ბაზრების ლიბერალიზაცია. სახელმწიფომ უნდა გააუქმოს რიგი ბარიერებისა, რომლებიც აფერხებენ ახალ კონკურენტთა შეღწევას ბაზარზე; ამასთან, მან უნდა მოახდინოს წარმოებისა და გასაღების დივერსიფიკაცია, წაახალისოს მცირე ბიზნესი, რომელიც ავსებს საბაზრო არხებს, საიმპორტო საქონელზე შეასუსტოს საბაჟო და სხვაგვარი შეზღუდვები, შექმნას და ყოველმხრივ განავითაროს საბაზრო ინფრასტრუქტურა და, უპირველეს ყოვლისა, საფონდო ბირჟა. ამ უკანასკნელის გარეშე კაპიტალებისა და რესურსების დარგთაშორისი გადაადგილება ისევ დარჩება ჩაკეტილი.

ლიბერალიზაცია გამოიწვევს არა მხოლოდ სახელმწიფო მეწარმეობის შეფარდებით შემცირებას, არამედ ეკონომიკის დემონოპოლიზაციასაც. სახელმწიფო საწარმო დაკარგავს თავის მონოპოლიურ მდგომარეობას ბაზარზე.

საკუთრების ოპტიმალურ სტრუქტურაზე გადასვლა ერთბაშად შეუძლებელია. იგი საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ამ გრძელ გზაზე უნდა შევქმნათ შერეული ეკონომიკის ისეთი ტიპი, რომელიც არ გამოიწვევს სოციალურ დაძაბულობას, კონფლიქტებს. თუ ჩვენ გვინდა შევქმნათ კონკურენციული საბაზრო გარემო, ამისათვის საჭიროა რაც შეიძლება მოკლე დროში გამოვიყვანოთ ეკონომიკა ბიუროკრატიული ორგანოების კონტროლიდან.

თუ შევუდარებთ ჩვენთან არსებულ პრივატიზაციის გატარების წინა პირობებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებისას, სხვაობა კოლოსალურია, საქართველოში არ შეიძლება სახელმწიფო სექტორის პრივატიზაცია ისე, როგორც დასავლეთში. საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს პრივატიზაციის გააზრებული და მრავალჯერ აწონ-დაწონილი პროგრამით.

როზეტა ასათიანი.
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

თვალსაზრისი

რა პრობლემების გადაჭრაა საჭირო ეკონომიკური კრიზისიდან რესპუბლიკის გამოყვანისთვის და რა და როგორ უნდა გააკეთოს საამისოდ საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებამ? — ეს იყო ამ საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის გაფართოებული პლენუმის მსჯელობის ძირითადი საგანი. მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვალერიან ადვაძემ. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტმა მცირე ინტერვიუ სთხოვა პლენუმის რამდენიმე მონაწილეს.

საჭიროა კონკრეტული სამოქმედო პროგრამა

დავით ძნელაძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

— სათქმელი და, მით უფრო, გასაკეთებელი ძალიან ბევრია. ამიტომაც ძალიან მოკლედ მოგახსენებთ ჩემს მოსაზრებას მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს ამჟამად ჰაერივით რომ სჭირდება უცხოური ინვესტიციები, ფაქტია. მაგრამ მხოლოდ მათზე და, საერთოდ, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებზე დაყრდნობა, ჩემის აზრით, სწორი არ იქნება. თუნდაც იმიტომ, რომ, რაკი ანგარიშსწორება დოლარებით მოხდება, უცხოური მეწარმენი პრაქტიკულად ჩალის ფასად შეიძენენ აქაურ წარმოების ძირითად საშუალებებს და ამიტომ ჩვენი დაკაბალება არ გაუჭირდებათ. საჭიროა მეტი და გადაუდებელი ყურადღება უნდა დავუთმოთ ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას.

რამდენიმე ინტერვიუ ეკონომისტთა საქმიანი შეხვედრის მონაწილეებთან

ომარ ვარძელაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი:

— ჩვენმა ახლად შექმნილმა სამინისტრომ, რომელსაც ძალზე არაორდინალურ პირობებში უწევს საქმიანობა, შეიმუშავა საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1992 წლის პროგნოზი.

ამ პროგნოზით რესპუბლიკაში წარმოების მოცულობის ზრდა თავისუფლად გვაქვს დაგეგმილი: ოღონდ რამე ვაწარმოოთ, თორემ გასაღება, მოგეხსენებათ, არ ჭირს. ენერგეტიკული სიტუაციის შესწავლისას დავასკვენით, რომ ჰიდროენერგორესურსები წლეულსაც შარშანდელ დონეზე დარჩება, თბოენერგორესურსები კი სხვადასხვა გზით, თუნდაც უცხოური სესხის ხარჯზე უნდა გავზარდოთ. ენერგეტიკული და სასურსათო პრობლემები უთუოდ უნდა გადაიჭრას. თუნდაც შარშანდელ დონეზე, უნდა მოვახერხოთ მეურნეობის სხვადასხვა დარგის რესურსებით მომარაგებაც. ამისთვის საჭიროა ეკონომიკური კავშირების დამყარება ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან, უწინარესად კი რუსეთთან, რომელიც ჩვენთვის აუცილებელი რესურსების 70 პროცენტს გვაწვდის.

ჩვენს მიერ შემუშავებული პროგნოზები მინიმალურია და უმთავრესად გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ როგორმე სიცოცხლისუნარიანობა შევუნარჩუნოთ ჩვენს ეკონომიკას. და კიდევ — აუცილებელია პრივატიზაციის მექანიზმი, ურომლისოდაც ძალიან გაგვიჭირდება.

რევაზ კაკულია — ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი:

— ჩვენი არაორდინალური და ექსტრემალური სიტუაციებით აღსავსე დღევანდელობა მრავალი პრობლემის წინაშე გვაყენებს. პრივატიზაციას, ცხადია, ფასების ლიბერალიზაცია უნდა უსწრებდეს, მაგრამ განა შეიძლება სახელმწიფომ თავის ნებაზე მიუშვას ფასწარმოქმნა და საბაზრო ეკონომიკის სხვა ატრიბუტები?

წინასწარი მონაცემებით რესპუბლიკის ეკონომიკის წლევანდელი შემოსავალი და მოგება შეიძლება 1,5-1,7-ჯერ გაიზარდოს, ფასებმა კი 5-12-ჯერ მოიმატა. ცხადია, იმიტომ, რომ ჩვენ ძირითადად სხვის, უმთავრესად რუსეთის ნედლეულზე ვართ დამოკიდებული, რომელმაც ფასები „აუშვა".

როგორია პროგნოზი? — ადვილად მოსალოდნელია, რომ ფასების ლიბერალიზაციამ შრომის ანაზღაურების შეზღუდვის მოხსნის პირობებში წლეულს ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის დაბალანსების საშუალება არ მოგვცეს.

რა და როგორ უნდა გაკეთდეს ასეთ საგანგებო პირობებში? არ უნდა დავაგვიანოთ პრივატიზაცია. ჯობს ამ საქმეში გარკვეული შეცდომებიც დავუშვათ, რომლებსაც გზადაგზა გამოვასწორებთ, ვიდრე პრივატიზება გადავდოთ. შუა მარტია. ჯობს დაუყოვნებლივ გადავცეთ მარჩენალი მიწა გლეხებს, რომლებიც მას დროზე დაამუშავებენ. მცირეოდენი დაყოვნებაც კი სულ ცოტა ერთი წლით დაგვაგვიანებს.

და კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი: პრივატიზაციის პროცესი არ გამორიცხავს შეღავათების ინსტიტუტს, მაგრამ ჩვენი გამოცარიელებული ხაზინის პატრონები დიდ ხელგაშლილობას ნუ გამოიჩენთ — სახელმწიფო ქონება კერძო მფლობელობასა თუ საკუთრების სხვა ფორმაში მხოლოდ გამოსყიდვის გზით უნდა გადავცეთ. შეღავათი მარტო მიწის გაცემისას უნდა დავაწესოთ. არის ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც, რომლებიც უთუოდ აისახება ჩვენი დღევანდელი მუშაობის შემაჯამებელ დოკუმენტში და, იმედია, პრაქტიკულადაც განხორციელდება.

პოზიცია

ძველი სენი და ახალი რეალობა

ამ ბოლო დროს თვალშისაცემი გახდა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმართ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დიდ ინტერესს იჩენენ. ეს, უდავოდ, მისასალმებელი ფაქტია, რომ არა ერთი ტენდენცია: ბევრს თავის მოვალეობად მიაჩნია, ქვა თუ არა, პატარა კენჭი მაინც გვესროლოს.

მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია, რომ ყველაფერზე პასუხის გაცემა საჭირო არ არის, რადგანაც ისედაც გათიშულ საზოგადოებაში, მსგავსი პუბლიკაციები დღეს საკმაოდ მძაფრ რეაქციას იწვევს. მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ მიმართულმა სტატიებმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ერთგვარი კამპანიურობის ეჭვიც კი გაგვიჩნდა, რამაც გვაიძულა, რომ ხმა ამოგვეღო.

ხმის ამოღება იმანაც გვიკარნახა, რომ ის, რაც არ იწერება, ითქმება ხოლმე, ლაპარაკი კი კულუარებში ხდება. შემდეგ აგორდება ჭორი, იწყება მითქმა-მოთქმა და ჩვენთვის არასასურველი სურათი, უკვე მერამდენედ, იხატება.

ერთი ავტორი, რომელსაც მე პატივს ვცემ, გაზეთ „საქართველოში" აკრიტიკებს ჩემს სატელევიზიო გამოსვლას საქართველოს ერთ კუთხესთან დაკავშირებით და ჩემს საპასუხოდ პათეტიკურად აცხადებს: „საინტერესოა, სად, რომელ გაზეთში გამოქვეყნდა, რომელ მიტინგზე გაისმა, რომელ რადიოტელევიზიით მოვისმინეთ ეს „უკიდურესი ხმები"?! იქვე ავტორი, ჩვენს პოზიციას, რომ შურღაიებთან და ქობალიებთან მოლაპარაკება არ შეიძლება, უცნაურად მიიჩნევს და ერთ ძველ ლათინურ ანდაზასაც გვახსენებს. ცოტა რომ მოეთმინა დალოცვილს, ორიოდე დღეში დარწმუნდებოდა, თუ სიტყვის როგორი პატრონები არიან შურღაია და ძმანი მისნი. იმის არდანახვაც შეუძლებელია, რომ „დაუმორჩილებლობის კომიტეტი" მოლაპარაკებით მხოლოდ დროის მოგებას ცდილობდა.

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ „უკიდურესობას", აუცილებელი არ არის ტელევიზიით წააწყდე მის ნიმუშს, ან მიტინგზე მოისმინო მსგავსი ტენდენციით გამოსვლა. წინა დღით საქართველოს ტელევიზიის ერთ გადაცემას მხოლოდ ერთი რეაქცია შეეძლო ხალხში გამოეწვია და გამოიწვია კიდეც... აი, რა მოტივით იყო განპირობებული ჩემი გამოსვლა (იმასაც დავსძენ, რომ ჩემთან კიდეც მოვიდა რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც ითხოვდნენ ამ ახალ „ვანდეაში" გამგზავრებას და საქართველოს ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის კართაგენივით მიწასთან გასწორებას. ის ჯგუფები გავაჩერეთ, მაგრამ სხვა ჯგუფები როგორ გაგვეჩერებინა?).

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ავტორი მაინც კეთილგანწყობილია ჩვენდამი, რასაც ვერ ვიტყვით „დროშაში" გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორზე, რომელიც, სარგებლობს რა იმით, რომ ჩვენ ესპანეთში მცხოვრებ ბაგრატიონებზე ყველაფრის თქმა არ გვინდა (ვუფრთხილდებით კონსტიტუციური მონარქიის იდეას) და ზოგიერთ კითხვას შეგნებულად ვარიდებთ თავს, უამრავ ცილს გვწამებს. გვსურს ავტორს შევახსენოთ, რომ ლეგიტიმურობა, ყველაფერთან ერთად, სისხლის სიწმინდესაც ნიშნავს და სწორედ ამ მოტივით მივანიშნეთ უპირატესობა იოანე ბატონიშვილს, რომელიც დედის მხრივაც უზრუნველესი გვარის წარმომადგენელია, მამის მხრივ კი უნათესავდება ესპანეთის მეფეს. ლეგიტიმურობის თაობაზე კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ სრულად ეს პრინციპი მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც სამეფო ხაზი უწყვეტია. როდესაც მონარქიის აღდგენაზე ვლაპარაკობთ, აქ უკვე ესპანეთის მაგალითია გასათვალისწინებელი, სადაც რამოდენიმე, დაახლოებით თანაბარი უფლებების მქონე პირიდან ყველაზე ღირსეული შეარჩიეს, ანუ მოხდა შერჩევაც და ლეგიტიმურობის პრინციპის დაცვაც.

კონსტიტუციურ მონარქიასთან დაკავშირებით კიდევ ერთ რამეს დავსძენ: ზოგი განზრახ ივიწყებს იმ ფაქტს, რომ ჩვენ, რესპუბლიკელები არასდროს ვყოფილვართ (ისევე, როგორც დღეს არა ვართ მონარქისტები, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით) და რესპუბლიკური იდეის ღალატს გვაბრალებს. მეათასეჯერ ვიმეორებ, ჩვენთვის ეს საკითხი პრინციპული არასდროს ყოფილა, დღეს ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კონსტიტუციურ მონარქიას სიკეთის მოტანა შეუძლია ჩვენი ერისთვის და ამ შესაძლებლობის რეალიზაციას ვაპირებთ მხოლოდ.

ერთ-ერთ ტელეგამოსვლაში აჭარასაც შევეხე, რასაც მოჰყვა მთელი „ციკლი" გადაცემებისა, რომლებიც ბატონ ასლან აბაშიძის გამოსვლითა და აჭარის ტელევიზიის უსაფუძვლო განცხადებით დაგვირგვინდა. ერთი რამ მსურს აღვნიშნო: ჭეშმარიტი სტაბილიზაციის საფუძველი მხოლოდ დემოკრატიის არსებობაა. იქ, სადაც სტაბილიზაცია რეპრესიებითა თუ მოსახლეობის ნაწილის შეიარაღებით მიიღწევა, ნამდვილი მშვიდობა არ სუფევს და ადრე თუ გვიან მოსახდენი მაინც მოხდება. ღმერთმა უსმინოს ბატონ ასლანს და აჭარაში არაფერი არ მომხდარიყოს (ჩვენც ეს გვინდა მხოლოდ!), მაგრამ ის თუ დიალოგის გზას აირჩევს პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გაათავისუფლებს „მამობრივი მზრუნველობისაგან" და დაგმობს საქართველოს ინტერესების მოღალატე ექს-პრეზიდენტს, მისი საწინააღმდეგო არც მე და, ალბათ, არც სხვას არაფერი გვექნება (მით უმეტეს, ასლან აბაშიძის სატელევიზიო გამოსვლამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ეს არის ჭკვიანი და გამოცდილი პოლიტიკოსი, რომლის მთავარი ნაკლი დემოკრატიულობის დეფიციტია).

და ბოლოს, ხმებზე, ჭორებზე და არასასურველ მითქმა-მოთქმაზე, ამ ჩვენს ძველ, დამღუპველ სენზე, იმაზე, თუ რას ფიქრობს გიორგი ჭანტურია ეროვნულ მოძრაობაზე, მისი დამოკიდებულება კონგრესთან და ა. შ.

თავიდანვე მსურს აღვნიშნო, რომ მასობრივი ეროვნული მოძრაობის პიონერები საქართველოში სწორედ ეროვნულ-დემოკრატები იყვნენ, ხოლო ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიებითაც უპირველესად ჩვენი პარტია ზარალდებოდა ხოლმე, და ყოველივე ეს სრულ უფლებას მაძლევს ვთქვა ის, რასაც ბევრი ფიქრობს, მაგრამ არ ან ვერ ამბობს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები დესტრუქციული მოძრაობებია და სწორედ ამაშია ამ მოძრაობების ძალა და სიდიადე. ეროვნული მოძრაობის მიზანია ძველის დანგრევა, თავს მოხვეული სტრუქტურების დაშლა და ადამიანის სულში შემგუებლური ტენდენციების ამოძირკვა ან შესუსტება მაინც, ეროვნული მოძრაობის მიზანი ერის განთავისუფლებაა, თავისუფალ ერებსა და სახელმწიფოებს არ სჭირდებათ ეროვნული მოძრაობები, ისევე, როგორც ჯანმრთელი ადამიანი არ საჭიროებს წამალს. ეროვნული მოძრაობა ანგრევს, ხოლო პოლიტიკა აშენებს. დღეს უკვე პოლიტიკისა და პოლიტიკოსთა დროა, და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები უკვე პოლიტიკით უნდა იყვნენ დაკავებულნი (თუკი ამის ინტელექტუალური უნარი ან სურვილი აქვთ) და ამ პოლიტიკის მთავარი მიზანი კონსოლიდაცია, სტაბილურობა და აღმშენებლობა უნდა იყოს.

ოპონენტი იკითხავს: კი, მაგრამ, უკვე დამოუკიდებელნი ვართ? პასუხი, ალბათ, მრავალმა იცის: ძველი იმპერია დაინგრა, დამოუკიდებლობის გზაზე ვდგავართ და სწორედ ჩვენზე, ჩვენს აღმშენებლობით უნარზე დამოკიდებული, რამდენად რეალურად და სწრაფად განხორციელდება ჩვენი დამოუკიდებლობა.

ზოგი მაინც არ დამეთანხმება, რადგან იცის, რომ ახალი რეალობა ვერაფერ სახეიროს ვერ უქადის მას თუ მის ორგანიზაციას (მიზეზებს არ ჩამოვთვლი). ამიტომ ჯიუტად ებღაუჭება ხავსს, კვლავ ძველ ხმაზე მღერის და ხშირად სასაცილო მდგომარეობაშიც კი იგდებს თავს. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, მაგრამ იმას, რომ ზოგი მზად არ არის (ასი წლის შემდეგაც არ იქნება მზად), ნუ გადავაყოლებთ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, იმ ფართომასშტაბიან მშენებლობას, რომელიც უკვე დიდი ხნის წინათ იყო დასაწყები.

სწორედ ზემოაღნიშნული მოსაზრებით არის განპირობებული ჩვენი დამოკიდებულებაც ეროვნულ კონგრესთან.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეროვნული კონგრესის იდეის ერთ-ერთი ავტორთაგანი და ამ იდეის აქტიური განმხორციელებელი გახლდათ;

მიუხედავად იმისა, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამსახურებაა ის, რომ მან ზოგიერთ სხვა ორგანიზაციასთან ერთად შეძლო ეროვნული კონგრესის, როგორც რეალური პოლიტიკური სტრუქტურის დაცვა, როგორც დიქტატორისა და პარლამენტად წოდებული უზენაესი საბჭოს შემოტევებისაგან, ასევე კონგრესის შიგნით არსებული გარკვეული ძალების ცალკეული, გაუთვალისწინებელი ნაბიჯის შესაძლო შედეგებისაგან;

საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში შეიცვალა (აღარაფერს ვამბობ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენაზე) და სიტუაციის შეცვლასთან დაკავშირებით საჭიროა შეიცვალოს ჩვენი დამოკიდებულებაც კონგრესის მიმართ:

1. დღეს პოლიტიკური მოძრაობისა და სახელმწიფო აღმშენებლობის საწყის ეტაპზე, როცა ეროვნულმა მოძრაობამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია, ეროვნული კონგრესი არარსებული ეროვნული მოძრაობის მაკოორდინირებელი ორგანო ვეღარ იქნება;
2. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს პარლამენტის არჩევნებში (ამასვე ვურჩევთ კონგრესში შემავალ სხვა პარტიებსაც).

პარლამენტის (და არა მკრეხელური და სულით ბოლშევიკური „უზენაესი საბჭოს") არჩევნების შემდეგ ორი არჩევითი ორგანოს არსებობა გაუმართლებელია.

ეროვნულმა კონგრესმა, როგორც საკონსულტაციო სათათბირო ორგანომ, უნდა იარსებოს მხოლოდ არჩევნებამდე, არჩევნების შემდეგ მან (და სახელმწიფო საბჭომ) უფლებამოსილება უნდა გადასცეს პარლამენტს.

არჩევნებამდე კი ეროვნული კონგრესის ძირითადი ამოცანები უნდა იყოს:

1. საქართველოში დისლოცირებულ „ესენგეს" ჯარების ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღება (სახელმწიფო საბჭოს წევრებთან ერთად), ამ ჯარების სტატუსთან და საქართველოს ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის კონკრეტულ ვადებთან დაკავშირებით;
2. ქვეყნის დემოკრატიზაციის, სტაბილიზაციისა და აღმშენებლობით პროცესებში აქტიური მონაწილეობა.
3. პარლამენტის არჩევნების მომზადება (დროებით მთავრობასთან, საკოორდინაციო საბჭოსთან და სახელმწიფო საბჭოსთან ერთად).

დიდი იმედი გვაქვს, რომ ყველა გაგებით მოეკიდება როგორც ამ განცხადებას, ასევე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობას, რამეთუ დროა, რომ ყველამ გაიგოს, დღეს კინკლაობის, ქიშპის, ურთიერთდაპირისპირებისა და „ჩხვლეტების" დრო აღარ არის, დღეს ყველამ ერთად უნდა ვიშრომოთ ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და უფსკრულის პირას მყოფი ქვეყნის ფეხზე დაყენებისათვის.

დუმილი ყოველთვის არ არის სისუსტის ნიშანი და ამასაც შევახსენებთ ოპონენტებს. ღმერთმა არ დაგვაჭიროს, თორემ ყველაფერზე შეიძლება პასუხის გაცემა, მაგრამ დღეს სხვა დროა, ბატონებო, სხვა პოლიტიკური რეალობა, და რაც უფრო მალე გავიგებთ ამას, მით უკეთესი იქნება ყველა ჩვენგანისთვის, მთელი ჩვენი ერისთვის.

გიორგი ჭანტურია.
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.

აბრკოლებს კერძო ბიზნესის განვითარებას

დამხობილი რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თვისება იყო სოციალისტური სტრუქტურების შენარჩუნება, რაც, ჩვენი აზრით, სრულიად შეგნებულად და გეგმაზომიერად ხდებოდა. ერთ-ერთ ასეთ სტრუქტურას წარმოადგენს ე. წ. „ობხსს"-ი, რომელსაც ყოფილმა პრეზიდენტმა მხოლოდ სახელი შეუცვალა და „ეკონომიკურ დანაშაულობასთან და საბოტაჟთან მებრძოლი განყოფილება" უწოდა. რა თქმა უნდა, როგორც სახელმწიფო ქონების, ასევე კერძო ბიზნესისადმი კონტროლის მექანიზმი აუცილებელია, მაგრამ უკვე არსებობს ამ ფუნქციის მქონე დამოუკიდებელი საგადასახადო სამსახური („საკონტროლო პალატა"), ამიტომ „ობხსს"-ის ფუნქციონირების შემდგომი გახანგრძლივება ანაქრონიზმია. ბოლო ხანს ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან არაერთხელ ითქვა, რომ განზრახულია ამ უწყების გაუქმება (ეს განაცხადა ვიცე-პრემიერმა ბ-ნმა რომან გოცირიძემ, რის შესახებაც ინფორმაცია მოთავსებული იყო გაზეთ „დროშაში", ასევე ჯაბა იოსელიანმა საგაზეთო ინტერვიუში. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა"), ხოლო დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ ბატონმა თენგიზ სიგუამ კოოპერატორებთან და არასახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე „ობხსს"-ის გაუქმების ვადაც კი დაასახელა — 10 დღე. მიუხედავად ამისა, ეს პროცესი ჭიანურდება და ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ პროგრესული წამოწყება გარკვეული წრეების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბოლო ხანს გაძლიერდა კიდეც საწარმოებზე, მათ შორის კოოპერატივებზე შეტევა, რაც ზოგ კონკრეტულ შემთხვევაში ფულის გამოძალვას ემსახურება და არა სახელმწიფო ქონების დაცვას. ეს კი მხოლოდ აბრკოლებს კერძო ბიზნესის განვითარებას.

ჩვენი აზრით, აუცილებელია საქართველოს ხელისუფლებამ რაც შეიძლება სწრაფად და თანამიმდევრულად რეალურად შეცვალოს მთელი სოციალისტური სისტემა ნორმალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სიცოცხლისუნარიანი და ეფექტიანი სისტემით. ამ საარსებო მნიშვნელობის საქმეში ეკონომიკური კონტროლის ადეკვატური მექანიზმის ამოქმედება ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი იქნება.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ სამეურნეო პრაქტიკაში ვერა და ვერ აღიკვეთა ადმინისტრაციული მმართველობის სისტემის შენარჩუნების ცდები, ცალკეულ დარგებში განხორციელდა რეორგანიზაცია, რომელიც ახალი ფორმით — კონცერნების, ასოციაციების, გაერთიანებების და ა. შ. სახით ფაქტობრივად ძველი შუალედური მმართველობითი რგოლების ფუნქციების მატარებლები არიან და კვლავ რჩებიან ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში მონოპოლიურ სტრუქტურებად. მიმოქცევის სფეროში კვლავ ფუნქციონირებენ ამგვარი სტრუქტურები. ყოველივე ეს ზღუდავს პირველადი სამეურნეო ერთეულების ეკონომიკურ თავისუფლებას, აფერხებს დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად მათ ჩამოყალიბებას და ეკონომიკის დემონოპოლიზაციის პროცესს, ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა:

— მკაცრად დაიცვან „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 23-ე მუხლის მოთხოვნები;

— ერთი კვირის ვადაში განიხილონ და გადაწყვიტონ სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე შექმნილი კონცერნების, ასოციაციების და გაერთიანებების ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი და მიიღონ გადაწყვეტილებანი მათი დაშლის, დაწვრილერთეულების ან გაუქმების თაობაზე მეურნეობის დეცენტრალიზაციის, კონკურენტული გარემოს შექმნისა და სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის დემონოპოლიზაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

— უზრუნველყონ აღნიშნული სახის ასოციაციებიდან, კონცერნებიდან და გაერთიანებებიდან სახელმწიფო საწარმოთა თავისუფალი გასვლა და არ დაუშვან სხვადასხვა ტიპის გაერთიანებიდან საწარმოთა თავისუფალი გასვლის უფლების ხელოვნური შეზღუდვა.

2. სახელმწიფო საწარმოთა ბაზაზე კონცერნების, ასოციაციებისა და სხვა სამეურნეო გაერთიანებათა შექმნისას მკაცრად დაიცვან მათში საწარმოთა შესვლის ნებაყოფლობითი პრინციპი, ამგვარ გაერთიანებათა შექმნის ყველა პროექტი შეთანხმდეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან ანტიმონოპოლიური ექსპერტიზის მიზნით.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს და ორგანიზაციებს (მათ შორის ვაჭრობისა და მომსახურების სფეროთა ობიექტებს), რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, უფლება მიეცეთ კოლექტივების გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად და ნებაყოფლობით გავიდნენ სხვადასხვა ტიპის გაერთიანებათა (კონცერნი, ასოციაცია, სავაჭრო და სხვა გაერთიანება და ა. შ.) შემადგენლობიდან.

სახელმწიფო ქონების ბაზაზე შექმნილი სამეურნეო ერთეულები გატარდნენ რეგისტრაციაში შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით — „სახელმწიფო საწარმო".

4. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
თ. სიგუა.
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი
გ. ბერიძე.
თბილისი. 1992 წლის 17 მარტი.

დადგენილების ექო

გაუგებრობა რომ ავიცილოთ

საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

● მას შემდეგ, რაც დაკანონდება მიწის ყიდვა-გაყიდვა, ექნება თუ არა მოქალაქეს უფლება მიწის გაყიდვის შემდეგ კვლავ მიიღოს უსასყიდლოდ მიწა კერძო საკუთრებაში?

— მიწის ყიდვა-გაყიდვა და საერთოდ მიწასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია განხორციელდება მხოლოდ საადგილმამულო ბანკის მეშვეობით. სხვა გზით წარმოებული ყველა გარიგება ბათილად იქნება ცნობილი.

მოქალაქე, რომელიც ერთხელ გაყიდის საკუთარ მიწას, მიწის ახალი მესაკუთრე შეიძლება გახდეს მხოლოდ მიწის ყიდვის გზით.

● როგორ ხდება კერძო საკუთრებისა და მფლობელობაში არსებული მიწების მემკვიდრეობით გადაცემა?

— კერძო საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული მიწების მემკვიდრეობით გადაცემის წესი ჯერ დადგენილი არ არის. მიწის რეფორმის შესახებ კანონის პროექტი ითვალისწინებს ერთმემკვიდრეობითობის პრინციპის შემოღებას, რაც იცავს მიწებს ზედმეტი დანაწევრებისაგან. გათვალისწინებულია, რომ დანარჩენმა მემკვიდრეებმა უნდა მიიღონ სათანადო კომპენსაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფიხვნო

დღეს ერთობ აქტუალური გახდა ეგრეთ წოდებული ინტელიგენტური ფენომენი. მოხდა დაპირისპირება ინტელიგენციასა და მასას შორის. ისმება ბუნებრივი კითხვა, თუ რა პირობებმა წარმოშვა ეს მტკივნეული პროცესი?

ისევ ინტელიგენციის შესახებ

ჯერ შევთანხმდეთ ერთ მთავარ პირობაზე, ცნება ინტელიგენცია ნიშნავს მოსახლეობის ინტელექტუალურ ნაწილს. და ეს უნდა იყოს ცნების ვიწრო გაგება, თუნდაც სამუშაო ჰიპოთეზისათვის პირობითად აღებული. ამჟამად არ ვგულისხმობთ არავითარ ინტელიგენტ მუშას ან ინტელიგენტ გლეხს. შევთანხმდეთ, რომ „ინტელიგენტი“ მსაზღვრელი არ არის. იგი დამოუკიდებელი ცნებაა. თუ გამოვყოფთ სოციალური ფენის შინაარსის მქონე ადამიანთა ფართო ჯგუფს, სწორედ ზემოთ მოყვანილი განსაზღვრება უნდა ავირჩიოთ. ამ წრეს „მრგვალმა“ ხელისუფლებამ უწოდა „კრიმინალური ინტელიგენცია“. სხვები მას „ერის ნაღებს“ უწოდებენ. მე ვიხსენებ ზუსტად იმ ტერმინს, რომელიც შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა. ინტელექტუალთა ფენა არის ერის სულის არისტოკრატია.

მოხდა თუ არა დაპირისპირება მასასა და ინტელიგენციას შორის? სამწუხაროდ, გაჩნდა უფსკრულამდე მისული დაპირისპირება. დღეს აღნიშნავენ, რომ ამ უფსკრულის გაჩენაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ყოფილი ხელისუფლების პოზიციამ. რასაკვირველია, ძველმა რეჟიმმა უდავოდ გააღრმავა წინააღმდეგობა; თუმცა მოვლენას სოციალური შინაარსი აქვს. სოციალური კი საზოგადოებრივს ნიშნავს და იშვიათად ემყარება პიროვნულს. ექსპრეზიდენტმა „ბრწყინვალედ“ დემაგოგის დონეზე იცოდა მასების ფსიქოლოგია, („მასის“ და არა ხალხის) როდის რომელი სოციალური ფენა წამოეწია და როდის რომელი ლოზუნგი ესროლა. ამიტომ შეეძლო მას ეგზალტაციის გამოწვევაც, მაგრამ, ვიმეორებ, არც ერთ პიროვნებას არ შეუძლია შექმნას სოციალური საფუძველი. თვით ვ. ლენინი და ი. სტალინიც კი (რომელთაც სატანის გენიალობა ჰქონდათ) მხოლოდ მარჯვედ იყენებდნენ უკვე არსებულ სოციალურ სინდრომს. საკუთარ რედაქციას უკეთებდნენ, მართავდნენ ადამიანურ ვნებებს და მეტი არაფერი.

სამწუხაროდ, ინტელიგენციამ ზუსტად ვერ შეაფასა მასების ფსიქოლოგია. ამ შეცდომას ისტორიული საფუძველი აქვს. ჯერ რუსეთის იმპერიამ, ხოლო შემდეგ იოსებ სტალინმა საგანგებოდ გამოკვეთეს განსაკუთრებული ფენა, ინტელიგენციამ მოძღვრის მანტიაც მოისხა და მმართველი ელიტის ნაწილიც გახდა. გაფორმდა „ინსტიქტური ხელშეკრულება“ ხელისუფლებასა და ინტელიგენციას შორის. მოვლენის თავისებურებას შეადგენდა ის, რომ ე. წ. დაჩქარებული სოციალისტური მშენებლობის დროს ინტელექტუალურ შრომას დამკვრელური მოძრაობის ელფერი მიეცა. მწერალი, პოეტი, ხელოვანი და ა. შ. გახდა ფუნქციონერი. ჩვენ არ ვაკრიტიკებთ ასეთ ფუნქციონერობას. უბრალოდ, გვინდა გავაანალიზოთ ყველაფერი ის, რაც შემდეგ მოხდა. აიღო რა ინტელიგენციის ნაწილმა ერთ-ერთ ამოცანად „დამკვრელური შრომის“ დამკვრელური იდეური შემზადება, ნებსით თუ უნებლიეთ თვით რეჟიმის დანამატი გახდა. სრულიად ბუნებრივად რეჟიმის კრიზისს ასეთი შემოქმედებითი ინტელიგენციის კრიზისიც უნდა მოჰყოლოდა.

მივიღეთ გაუგონარი რამ. აღმოჩნდა, რომ „პოეტი-დირექტორი“, „პოეტი-რედაქტორი“, „პოეტი-მდივანი“, სულ სხვა რამეა და იგი განსხვავდება ცნება „პოეტისგან“. მოხელე-შემოქმედი არსებული რეჟიმის დროს ეფექტიანად ასრულებდა დავალებებს. უმოხელეობოდ საქმეს ართულებდა ორი გარემოება: ყალბი შემოქმედი მთლიანად ქრებოდა... როგორც პიროვნება, ნიჭიერი შემოქმედი კი თვითონვე ეწინააღმდეგებოდა საკუთარ მეორე „მეს“. ნიჭიერება ისეთი ურჩი ფენომენია, რომ რაც უნდა მართო, დაამახინჯო, მაინც ინარჩუნებს ბუნტარულ ბუნებას. თვით შუა საუკუნეებშიც ყველაზე დიდი მეხოტბეც კი, თუ ის ნიჭიერი იყო, კონიუნქტურის ჩარჩოებში ვერ ეტეოდა. ხაზგასასმელია სხვა გარემოებაც: შემოქმედებითი ინტელიგენცია მასებზე გავლენას ახდენს სამომავლოდ. იშვიათია, რომ გენიოსის გენიალური ნააზრევი საერთო-სახალხო აღტკინების საგანი გახდეს იმთავითვე. ხდება ზოგჯერ, რომ ჭეშმარიტი შემოქმედება სწრაფად აიყოლიებს საზოგადოებას, მაგრამ ეს უფრო ემოციის სფეროა და არა გონის ზეიმი. **საერთო-სახალხო აღფრთოვანება ყოველთვის არ გამოხატავს საზოგადოების სწორ ორიენტაციას.** მაგალითად, 60-იანი წლების ქართველ ახალგაზრდობაზე ჭეშმარიტად დიდი გავლენა ჰქონდა ბევრი პოეტის პატრიოტულ ლირიკას. მაგრამ 20-30-იან წლებში ნაკლებად უყვარდათ გიორგი ქუჩიშვილი? მე იგივეობის ნიშანს არა ვსვამ. თუმცა მასების ეგზალტაცია თითქმის ანალოგიურია. განსხვავება თვით მასების საზოგადოებრივი სიმწიფის ხარისხშია. ჭეშმარიტი შემოქმედებითი ინტელექტუალიზმი ერის აღმზრდელია, ამიტომ არის ის სულის არისტოკრატია. მაგრამ შემოქმედების გამოვლენა, ანუ ერის სულიერი აღზრდის შედეგი ქრონოლოგიურად დაშორებულია თვითონ აღზრდის პროცესისაგან. ამიტომ ინტელექტუალიზმის აღიარება ხალხის მიერ არ ნიშნავს თვით ინტელექტუალთა აღიარებას, ასევე როგორც ცალკეულ ინტელექტუალთა საერთო-სახალხო აღიარება არ ნიშნავს თვით მათი ნააზრევის უყოყმანო გაზიარებას. მაშასადამე, პოპულარობის ათვლის წერტილი თვით რომელიმე პოპულარული პიროვნების შემოქმედებაში არ არის საძიებელი. ე. ი. აპრიორი უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოხელე-შემოქმედის პოლიტიკური კარიერა პოლიტიკური სისტემის გარეშე ხშირ შემთხვევაში განწირულია. გთხოვთ, კარგად გამიგოთ. მე არ ვეხები შემოქმედის ნიჭიერება-უნიჭობას. გენიოსიც რომ იყოს, არ ნიშნავს, რომ სრულიად მარტივ არჩევნებს მოიგებს და, თუ მან მოიგო და პარლამენტში აღმოჩნდა პოეტი, დრამატურგი, მომღერალი, მოცეკვავე, მეცნიერი, რეჟისორი და ა. შ., ეს კი არ მეტყველებს ერის მაღალ პოლიტიკურ კულტურაზე, არამედ ერის იმ უბადრუკ მდგომარეობაზე, როდესაც ინტელექტუალი ყველაფრის მომცველი ცნებაა და პოლიტიკოსი ისეთივე მაღალი დონის ინტელექტუალი უნდა იყოს, როგორც ნებისმიერი ხელოვანი.

შემოქმედებითი ინტელიგენცია კონკრეტულ სიტუაციაში არასოდეს ასრულებს გადამწყვეტ როლს. ისტორიულ პროცესს წარმართავს ძალა. ინტელექტუალიზმი ხშირად ახდენს თავისი ინტელექტუალობის ძალისმიერ მატერიალიზაციას. ატომური ბომბი ფიზიკოსების ინტელექტის ძალისმიერი მატერიალიზაციაა. ინტელექტი ძალად იქცევა მხოლოდ ასეთი მატერიალიზაციის შედეგად.

არავის უნახავს, რომანტიკული ლეგენდების გარდა, ციხესიმაგრე ლექსების „დაშენით“ აეღოთ, ან კედლები გაერღვიათ სიმღერით. სწორედ ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნოთ, — ინტელექტუალურ ინტელიგენციას, თუ არ შეუძლია ძალისმიერ ფენომენად მატერიალიზაცია, იგი წინასწარ წაგებულია. კონკრეტულ სიტუაციაში უნდა გაეცალოს პოლიტიკურ ბრძოლას, ან უშუალოდ ჩაერთოს მასში. ასეთ შემთხვევაში ინტელიგენტი უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც მებრძოლი. ამის მაგალითია, ვთქვათ ბ-ნი ელდარ შენგელაია, რომელიც პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმულია არა როგორც რეჟისორი (თუმცა ამ მხრივ მან უკვე თქვა თავისი სათქმელი, ჯერ მარტო „ცისფერი მთები“ რად ღირს), არამედ როგორც პოლიტიკოსი. მაინც დიდი პოლიტიკოსი ან მებრძოლი და დიდი შემოქმედი თითქმის შეუთავსებელია. შემოქმედი დამკვირვებელ-ანალიტიკოსია, პოლიტიკოსი მებრძოლი, ტაქტიკოს-პრაქტიკოსი. მაგალითად, დავით გურამიშვილი უბრალო ოფიცერი დარჩა იმიტომ, რომ დიდი პოეტი იყო. გრიგოლ ორბელიანი — გენერალი, ამ უკანასკნელს ლექსი გართობად მიაჩნდა.

ინტელიგენციის დაპირისპირება მასასთან ყველაზე მკვეთრად ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ მოხდა. მაშინ, კომუნისტური ოფიციოზის წაქეზებით, მასამ გაანადგურა როგორც სოციალური, ასევე სულის არისტოკრატია. ერთდროულად მოსპო თავადაზნაურობაც და ინტელიგენციაც. ჩამოყალიბდა „წითელი ინტელიგენცია“, რომელმაც პირველი „კლასობრივი“ თვისება შეიძინა 50-იან წლებში და წმინდა სოციალური ფენის ფუნქცია მიიღო ჩვენს თვალწინ, 60—70-იან წლებში. საბჭოურ ინტელიგენციას არსებული იდეოლოგიური წნეხის პირობებში განუვითარდა თავდაცვის რამდენიმე ინსტინქტური თვისება. წარმოიდგინეთ ჩვენი შემოქმედი. წმინდა შემოქმედებითი პროცესის გარდა, გადიან კონიუნქტურულ ლაბირინთებსაც. შემოქმედმა ჯერ უნდა მოიფიქროს სიუჟეტი, ჩამოაყალიბოს მხატვრული კონცეფცია, ამის შემდეგ იწყება სიძნელე. საჭიროა მოიხაზოს მისაღები ფორმა, რომელიც მხატვრული კონცეფციის დედააზრსაც შეინარჩუნებს, და მოძებნის „თავდაცვით გარსსაც“, ე. ი. განსაკუთრებულ ფორმას. ეს შეძენილი თვისება, შიშის სინდრომიდან აღმოცენებული სიფრთხილე, ჯერჯერობით არ გამქრალა. მასას არ უყვარს სიმბოლოებით აზროვნება. იგი პირდაპირია და გულწრფელი. მას მოსწონს, ვთქვათ, მუხრან მაჭავარიანის პატრიოტული პოეზია და არას დაგიდევს, რატომ აწერია ამ შესანიშნავ ლირიკას „1832 წლის ციკლი“. სამაგიეროდ, თუ რაღაც ყალბი ნოტები იგრძნო უნებლიედ, მაშინ ფართო მასებისათვის გადამწყვეტი ხდება ფორმა. ეჭვი არ მეპარება, ყველა შემოქმედს, რომელიც გარეგნულად ახლოს იდგა კომპარტიასთან, ჰქონდა დამცველი მექანიზმი. კონსტანტინე გამსახურდია იმიტომ წერდა ბელადზე ნაწარმოებს, რომ თავისი შემოქმედება გადაერჩინა მშობლიური ერისათვის. მაგრამ ყოველთვის არ ხერხდება ფორმისა და შინაარსის განცალკევება მარტივად. ამიტომაც, მასების ბუნტარულმა „ნაჯახის ფსიქოლოგიამ“ არსებული რეჟიმისადმი წყენა გადაიტანა იმ ინტელექტუალებზეც, რომლებიც მან ჩათვალა რეჟიმის ნაწილად. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ბრწყინვალედ გამოჩნდა ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში, რაც ჩვენ დღეს დაგვავიწყდა. მხედველობაში მაქვს მ. ბულგაკოვის „ძაღლის გულის“ თემა, როდესაც გაუცნობიერებელი ბრბო იგრძნობს ძალაუფლების ხიბლს. ეს საშინელებაა. ამ დროს გრიგალისებურად წარმოიქმნება ბრმა პროტესტი, ნგრევის ჟინი, მას მთიდან დაქანებული ზვავის ძალა აქვს. ეს მოვლენა ნორმიდან გადახვევაა, დროებითი, რომელიც სწრაფად გაივლის, თუ მას პოლიტიკური სისტემა არ გააღიზიანებს საგანგებოდ. ამ სინდრომის წინააღმდეგ ბრძოლა დიდ სიფრთხილეს და სიფაქიზეს მოითხოვს. ამ მხრივ, დიდმა ი. ჭავჭავაძემაც დაუშვა საბედისწერო შეცდომა. იგი პირისპირ დაუდგა პროცესს, რომელსაც „სოციალისტური“ პათოლოგია მართავდა. ი. ჭავჭავაძემ 1905-07 წლებში დაარღვია თავისი პრინციპი და „ნაჯახის ფილოსოფიას“ „ნაჯახის პუბლიცისტიკა“ დაუპირისპირა. ილია აქაც გმირი იყო. შესაძლოა, საკუთარი თავშეწირვით სურდა ქართველთა გამოფხიზლება, მისმა სიკვდილმა მხოლოდ დროებით შეარიგა საზოგადოება. რევოლუციური ბრძოლებით გადაღლილი ქართველობა ერთიანად დაიპყრო მარქსიზმის დემაგოგიამ. ხალხის ბრბოდ ქცევაც კი არ არის სახიფათო, თუ ვიცით, რომ ეს დროებითი გადახრაა და არა კანონზომიერება. ოღონდ მას მართვა უნდა. თანამედროვე ქართველი ინტელიგენციის მთავარ ამოცანას მასების პოლიტიკური დამოძღვრა კი არ შეადგენს, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ახერხებს, არამედ თვით კათარზისი და ხალხში გარევა, ხალხის სულიერი ტკივილების გაზიარება. დღეს ახალი ტიპის „ნაროდნიკობა“ გვჭირდება. ერი განიცდის მძლავრ სულიერ კატაკლიზმებს. ეს უმძაფრესი სოციალური და იდეოლოგიური ტკივილია. ამ ტკივილს განიცდის აბსოლუტურად ყველა; ინტელიგენტიც, პოლიტიკოსიც, გლეხიც, მუშაც. საზოგადოება არ იყოფა კარგებად და ცუდებად, თითოოროლა გამონაკლისი საქმეს არ შველის, **ყველა მეტნაკლებად შემცდარი ვართ.** საერთო ტკივილის დაყუჩება საერთო ძალისხმევით თუ შეიძლება. ამის გაცნობიერება არის ნამდვილი ხსნა, და ის აუცილებლად მოვა. მოვა სწრაფად, თუმცა ურთულესი გზების გამოვლით.

ერის სათავეში აუცილებლად უნდა იდგეს ინტელიგენცია — სულის არისტოკრატია. მაგრამ ერის გაძღოლა სამარ ბატალიებს არ გულისხმობს, არც მმართველობას. ერის სვლა, „მამულის ჩვეულებისამებრ სვლა“ პრობლემათა მთელი ციკლია და მისი შემოზღუდვა მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლით, შეცდომაა.

ახლა ჩვენში ბევრს კამათობენ, ვინ უნდა იქნეს არჩეული პარლამენტში: „ინტელიგენტი“ თუ „პოლიტიკოსი“. ვშიშობ, „ინტელიგენტებსაც“ და „პოლიტიკოსებსაც“ არ მოუხდეთ ჯერ „დაუკვლელი დათვის ტყავის გაყოფა“. პაექრობაში არ გამორჩეთ თავი და თავი — ამომრჩეველი! ეს უკვე მოხდა 1990 წლის 28 ოქტომბერს.

მისი უდიდებულესობა — ხალხი, თავისი შეუცნობადი ბუნების მასობრივი ფსიქოლოგიით, ჯერ მხოლოდ იცდის...

ლოვარდ ტუხაშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სანქტ-პეტერბურგიდან 70 კილომეტრის დაცილებით, დასახლება სოსნოვაია ბორაზე მდებარე ათასი მეგავატი სიმძლავრის ატომური რეაქტორის მე-3 ბლოკში რადიაქტიურმა ნივთიერებამ გამოჟონა. ეს სადგური ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მსგავსია. მომხდარი ინციდენტის გამო გაიმართა სანქტ-პეტერბურგის საქალაქო საბჭოს სესია. ოფიციალური მონაცემებით ქალაქში და მიმდებარე რაიონებში რადიაციული ფონი ნორმალურია. შეჩერების შემდეგ რეაქტორის მე-3 ბლოკი საათში 50 გრადუსით ცივდება. შვედეთში და ფინეთში რადიაციის ფონის აწევა არ აღუნიშნავთ, თუმცა მეტეოროლოგიური სამსახურის ცნობით ქარი ამ ქვეყნებისკენ უბერავდა. საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაცია „გრინ პისი“ მოითხოვს, რომ თანამეგობრობის ქვეყნებში არსებული ყველა მოძველებული ატომური ელექტროსადგური სასწრაფოდ გაუქმდეს.

რადიოსადგურ „თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ ოპტიმისტურად შეაფასა თავისი სამშობლოს მომავალი. მისი თქმით საქართველო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირებს დაამყარებს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან. მან აღნიშნა, რომ საქართველოსთან მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს დასავლეთის ბიზნესმენებიც დაამყარებენ.

უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კრავჩუკის პრესის სამსახურმა უარყო დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, თითქოს უკრაინა სნგ-დან გასვლას აპირებსო. გუშინ კრავჩუკი ხუთდღიანი ვიზიტით ინდოეთს ეწვია.

როგორც ცნობილია, თათრეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად მოსახლეობის უმეტესობამ სუვერენიტეტის იდეას დაუჭირა მხარი. თათრეთის პრეზიდენტმა მინტიმერ შაიმიევმა 23 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თათრეთის უახლოესი პოლიტიკური ამოცანაა რუსეთთან არა ფედერაციული, არამედ პირდაპირი ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულებაში გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებისა, გათვალისწინებული იქნება თათრეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხები. თათრეთის მსგავსი მოვლენები მიმდინარეობს დაღესტანშიც, მაგრამ ასე არ ფიქრობს კუმიხი ხალხი. რადიოსადგურ „თავისუფლების“ კორესპონდენტის ინა ბალახანოვას ცნობით, ამ დღეებში გაიმართა კუმიხთა ყრილობა. კუმიხებმა რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში დარჩენა ისურვეს.

იგივე კორესპონდენტის ცნობით ვლადიკავკაზში გაიმართა მთიელ ხალხთა კონფედერაციის ყრილობა, რომელმაც კვლავ წამოაყენა კავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის იდეა. შეგახსენებთ, რომ მთიელთა კონფედერაცია რუსეთის ფედერაციაში ყოფნის წინააღმდეგია.

ჰელსინკში მიმდინარეობს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მე-4 შეხვედრა. მუშაობის პირველივე დღეს საერთო ევროპულ პროცესს შეუერთდა საქართველო, ხორვატია და სლოვენია. ამრიგად, თათბირში მონაწილეობს 51 ქვეყნის წარმომადგენელი. ისინი განიხილავენ ყარაბაღის პრობლემას, რომელიც გაეროს სპეციალური წარმომადგენლის 75 წლის საირუს ვენსის აზრით უფრო რთულია, ვიდრე იუგოსლავიაში შექმნილი ვითარება. გუშინ მოლდოვეთის, რუმინეთისა და უკრაინის წარმომადგენელთა წინადადებით თათბირზე დნესტრისპირეთში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებაც გააანალიზეს. იუწყებიან, რომ აქ მიმდინარე კონფლიქტის დროს უკვე 38-მდე ადამიანი დაიღუპა. თათბირის დღის წესრიგშია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შექმნილი მდგომარეობის განხილვაც. ჰელსინკის შეხვედრა სამ თვეს გაგრძელდება და იგი თანამედროვე მსოფლიოს მრავალ საჭირბოროტო საკითხს განიხილავს.

27 მარტს ციმბირის ქალაქ კრასნოიარსკში გაიმართება ყრილობა, მასში მონაწილეობას მიიღებენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც დამოუკიდებელი ციმბირის სახელმწიფოს შექმნა სურთ.

ნახიჭევნის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ჰეიდარ ალიევი კერძო ვიზიტით ანკარაში ჩავიდა, სადაც შეხვდა თურქეთის პრეზიდენტს თურგუთ ოზალსა და პრემიერ სულეიმან დემირელს. გაზეთ „ჯუმჰურიეთის“ ცნობით დემირელმა ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა ნახიჭევნის პარლამენტის ხელმძღვანელს.

მთიან ყარაბაღში მშვიდობის დამყარებას შეიძლება ხელი შეუწყონ საერთაშორისო მეთვალყურეებმა, რომლებსაც პოლიციის მცირე ჯგუფები დაიცავენ, თქვა ჩეხეთ-სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იირჟი დინსტბირმა გაეროს გენერალურ მდივანთან ბუტროს გალისთან და ამავე ორგანიზაციის სპეციალურ წარმომადგენელთან საირუს ვენსთან საუბრის დროს.

რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახური იუწყება, რომ ბორის ელცინი ტელეფონით ესაუბრა თავის ამერიკელ კოლეგას ჯორჯ ბუშს. საუბრის დროს განიხილეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების კიევის შეხვედრის შედეგები, საერთაშორისო სავალუტო ფონდში რუსეთის შესვლასთან დაკავშირებული საკითხები, მთიან ყარაბაღში კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემები, აგრეთვე მიუნჰენში „შვიდეულის“ სახელმწიფოთა ლიდერების მომავალი შეხვედრის საკითხები.

ლიბიის წარმომადგენელმა გაეროში იმედი გამოთქვა, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილი ლიბიის ორი მოქალაქის გადაცემა არაბულ სახელმწიფოთა ლიგისათვის „თავიდან აგვაცილებს დაძაბულობას“, იუწყება სი-ბი-ესის ტელეკომპანია. მაგრამ საეჭვოა, აღსრულდეს მისი იმედი, რადგან ვაშინგტონი კვლავ დაჟინებით მოითხოვს, რომ გაერომ ლიბიის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები შემოიღოს, აღნიშნავს ტელეკომპანია.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ხიდები

ჩემი იერუშალაიმი — ჩემი თბილისი

ორი სამშობლოს აშული — მიხეილ კრიხელი



ეროვნებით — ქართველი ებრაელი, პროფესიით — ინჟინერი.

დაიბადა 1930 წელს. ოთხი წლისა იყო, როცა დედამისს, სრულიად ახალგაზრდა ქალს, სამი მცირეწლოვანი შვილის მამა, მოსიყვარულე მეუღლე და ოჯახის მარჩენალი მოაკლდა. სამი შვილის მოვლა-პატრონობა, აღზრდა, გზაზე დაყენება მარტოხელა ქალს ზინა კრიხელს დაეკისრა. პირნათლად ზიდა მან უმძიმესი ტვირთი.

ვალიკო კრიხელი — ეკონომისტი;

ლამარა კრიხელი — ფილოლოგი;

და მიხეილი — ოჯახში, პატარაობიდანვე განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული, სწავლისა და შრომის მოყვარული, ბუნებით მოუსვენარი, ცოცხალი აზროვნებით. საშუალო სასწავლებელს ოქროს მედლით ამთავრებს და იმავე წელს ირიცხება თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკურ ფაკულტეტზე.

უმაღლესის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ ქუთაისის ავტოქარხანაში ანაწილებენ. აქ ახალგაზრდას დიდი ნდობითა და პატივისცემით ეპყრობიან და ისიც ამართლებს მათ ნდობას. მოკლე დროში ქარხანაში არაერთ რაციონალიზატორულ სიახლეს ნერგავს.

პატარაობიდანვე ფეხბურთის გულშემატკივარი და მოტრფიალე ჭაბუკობისას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია, ქუთაისში ყოფნისას კი „ტორპედოს“ გუნდის შემადგენლობაში თამაშობს.

1956 წელს მიხეილი თბილისში ბრუნდება და საპროექტო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში უფროს ინჟინრად იწყებს მუშაობას. მაგრამ, მისმა მაძიებელმა ნიჭმა ფართო შემოქმედებითი ასპარეზი პოვა საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საპროექტო ბიუროში. აქ მრავალი ახალი გამოგონება თუ რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სფეროში, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში დაინერგა. მისი პროექტით აიგო 18 ავტომატურ-როტარული ხაზი.

1969 წელს ჟურნალ „მანქანათმშენებლობის მაზარობლის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარმოების ავტომატიზაციის საუკეთესო საშუალებისათვის იგი მეორე პრიზით დაჯილდოვდა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ცოლშვილითურთ ისრაელში გაემგზავრა.

ექვსი თვე ულპანი-ივრითის სწავლა. მერე კი — ისრაელის სამხედრო მრეწველობის ქარხანაში ინჟინრის თანამდებობა. მალე ტექნოლოგიური განყოფილების უფროსად დანიშნეს. გააოცა საწარმოში ტექნიკური ამოცანების სფეროში შემოქმედებითმა თავისუფლებამ, ტექნიკური საშუალებების მაღალმა დონემ, ავტომატიზებულმა მანქანა-დანადგარებმა და საერთოდ რთული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის ფართო ასპარეზმა.

მიხეილმა თავი ზღაპრულ სამყაროში იგრძნო და მისცა კიდეც თავის ცოდნას გასაქანი.

რთული და საპასუხისმგებლო სამსახურის პარალელურად დიდი მონდომებით ებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ყველანაირად ეხმარება ისრაელში ახლად ამოსულ „ყარიბებს“.

ცალკე საუბრის თემაა მიხეილ კრიხელი — ხელოვანი. სილამაზის, მშვენიერების მოტრფიალე, იგი გულგრილი არასოდეს ყოფილა ხელოვნებისადმი. საათობით შეეძლო მდგარიყო გუდიაშვილის, ახვლედიანის, კაკაბაძის ნამუშევრებთან. მერე თავისიც სცადა.

და რაკი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ლითონთან ჰქონდა საქმე, მასვე გაანდო თავისი ფანტაზიის ცხოველი ძალა და აამეტყველა, აალაპარაკა იგი.

ხელი პირველად ალბერტ პაპისმედოვის სახელოსნოში სცადა, გახალისებული იმით, რომ ლითონის ფირფიტა, ჩაქუჩი და საჭრეთელი დაემორჩილა, როგორც ყველა წამოწყებულ საქმეს, ამასაც მთელი გულითა და მონდომებით მიეცა. მარტივ მონახაზებს უფრო რთული, რამდენიმე პლანიანი ნახატები მოჰყვა, ინჟინერს ხელეწიფებოდა ხატვა და ამანაც განაპირობა მიხეილის პირველივე ნამუშევრების აღიარება.

მის თითოეულ ნამუშევარში იგრძნობა ორიგინალური, გაბედული, საკუთარი, მხოლოდ, მიხეილისეული ხელწერა: გრძნობთ, ხედავთ, რომ მხატვარი შეყვარებულია თავის ქმნილებაში, გაოცებთ მათი მრავალფეროვნება, ადამიანის სულიერ სამყაროში წვდომა, დეკორატიული პანორამის თავისებური გადაწყვეტა, ნახაზის სიზუსტე, ოსტატური, ფილიგრანული შესრულება.

სრულყოფილი კომპოზიცია ჭედურ ხელოვნებაში, ელასტიურობა, დინამიკა ლითონზე მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული ტრადიციაა. და სწორედ ამ ტრადიციების მიმდევარია მიხეილ კრიხელი. საქართველოში დაბადებული, ქართულ იავნანაზე გაზრდილი, მოწიწებით და სიყვარულით ახსენებს ირაკლი ოჩიაურს, გოგი გაბაშვილს, კობა გურულს. სწორედ მათ აბრალებს და უმადლის თავის გატაცებას.

ჰარმონიის მოტრფიალე მიხეილი, ყველაში და ყველაფერში ხედავს მხოლოდ სიკეთეს, კაცთმოყვარეობას, უმანკოებას. ამიტომაცაა მისი ყოველი ნახელავი სიფაქიზით აღსავსე, დახვეწილი ორნამენტებით და ცხოვრებისეული სინამდვილით მარადისობაში აღბეჭდილი პატარა, ლამაზი, წარმტაცი ნოველა.

დროთა განმავლობაში მისი პალიტრა მრავალფეროვნდება, მშვენდება, ივსება ნათელი ფერადოვნებით. მკაფიოდ იკვეთება ეროვნული თვითშეგნება. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ძველი თბილისის ბოჰემის თემაც — მ. კრიხელისეული ყარაჩოღელები.

ი. გრიშაშვილს მოვიშველიებ. კინტო და ყარაჩოღელები სხვადასხვა ჯურის ხალხია. კინტო უკანასკნელი დროის მცხოვრებია — გაქსუებული, თაღლითი, თახსირი. ერთი სიტყვით, კინტო ყარაჩოღელების გადაგვარებული მოდგმაა.

ყარაჩოღელი — დარბაისელია, ჩასპანდი, გულმართალი, პატიოსანი, მოშაირე და მოლექსე რაინდი. სწორედ ასეთები არიან ბატონ მიხეილის ყარაჩოღელები. უყურებ მათ და, თითქოს, ჩაგესმით:

„ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელი მოდის
მაღლა ციდანა,
დაბეჭდილი წიგნი მომდის
საყვარლისგანა“.

ბარაქალა მის მარჯვენას; მის ყოვლისშემძლე თაყვანისცემას ორივე სამშობლოსადმი და მის სიკეთით აღსავსე გულს.

ბატონი მიხეილი ბედნიერი კაცია. ცხოვრობს თავის სათაყვანებელ სამშობლოში — ისრაელში; უყვარს საქართველო და ქედს იხრის მის წინაშე.

ჰყავს მოსიყვარულე მეუღლე — თინა, ორი მშვენიერი ქალიშვილი — თამრიკო და მაიკო, სიძეები და, როგორც თვითონ ბრძანებს, მისი სიცოცხლისა და ყოფის გამართლება — შვილიშვილები.

მასთან არის ღმერთი, რადგან თვითონ იგი არის ღმერთთან...

აი, როგორ აფასებენ მის შემოქმედებას:

„მიხეილ კრიხელის გამოფენამ მოლოდინს გადააჭარბა წარმოდგენილი ექსპოზიციის სიჭარბით, თემებისა და სიუჟეტების ნაირსახეობითა და მხატვრული დონით“. ბათ-იამის ქალაქის მერი.

„მიხეილი დიდი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე რომ არის, ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ დიდი ხელოვანიც რომ ყოფილა, ეს მან დაამტკიცა წარმოდგენილი მშვენიერი ექსპოზიციით“. სოხნუთის პროპაგანდისა და აბსორბციის განყოფილების უფროსი — უზი ნარკისი.

„მოყვარული შემოქმედნი უფრო გულწრფელნი და ალალმართალნი არიან“. რაფი მეშელი — რაფაელ მოშიაშვილი. მხატვარი. ისრაელი.

მხოლოდ ისრაელში აღიარების შემდეგ გაბედა მიხეილმა თავისი შემოქმედებით თბილისელების წინაშე წარმდგარიყო...

გამოფენა მოაწყო შარშან სექტემბერში მსოფლიო ებრაელთა სააგენტო „სოხნუთმა“ და თბილისის მხატვრის სახლმა.

ახლახანს სარედაქციო-საწარმოო გამომცემლობამ დასტამბა წიგნი — მიხეილ კრიხელის ჭედურობა და ჩანახატები — „ჩემი იერუშალაიმი — ჩემი თბილისი“.

ჩესი ლეზგიშვილი.

P. S. 1992 წ. 30 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბრძანებით, აკრედიტაცია მიეცა მსოფლიო ებრაული სააგენტოს „სოხნუთის“ წარმომადგენლობას საქართველოში. მისი წარმომადგენელია ამჟამად მიხეილ კრიხელი.

ქართველ მწერალთა ყრილობაზე

25 მარტს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიხსნა საქართველოს მწერალთა მეთერთმეტე ყრილობა — უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა არა მარტო მწერალთა, არამედ მთელი ერის ცხოვრებაში. ეს გასაგებია, რადგან მწერლობა — ჭეშმარიტი სარკე ცხოვრებისა — იყო, არის და იქნება ჩვენი ტკივილებისა და სიხარულის, ჩვენი წინსვლისა თუ მარცხის მართალი და პირუთვნელი მემატიანე.

მაგრამ ახლანდელი ყრილობა მაინც სხვაგვარია. იგი იმართება დამოუკიდებელ საქართველოში, რომლის სრული თავისუფლებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, ჩვენდა საამაყოდ, არაერთი ქართველი მწერალი იდგა და ღირსეულად წარმოაჩენდა უმდიდრესი ტრადიციების მქონე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის უმთავრეს მიზანსა და დანიშნულებას.

ყრილობა ერთობ უჩვეულოდ დაიწყო. საქინფორმის კორესპონდენტებმა რის ვაი-ვაგლახით გაარღვიეს სასახლის წინ შეკრებილ ექსპრეზიდენტის მომხრე მანდილოსანთა კედელი. სამწუხაროა, რომ ამ უჩვეულო „უვერტიურას“ თან ახლდა გააფთრებული და ულმობელი აქცია, — ისინი ხევდნენ აკაკი ბაქრაძის, გურამ ფანჯიკიძის, რევაზ მიშველაძის, იზა ორჯონიკიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის და სხვათა წიგნებს და ანათემას გადასცემდნენ ჩვენი ლიტერატურის გამოჩენილ მსახურთა სახელებს.

ყრილობის დასაწყისში, დარბაზი ერთგვაროვანი არ იყო, მაგრამ საბედნიეროდ აქ მრავლად იყო ქართული მწერლობის ის ნაწილი, ვინც მიიჩნევს, რომ დიქტატურულ რეჟიმს დაბრუნება არ უწერია, რომ მწერლობამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის გამოფხიზლებას, წინ წაუძღვეს ერს სრული დემოკრატიისაკენ.

ყრილობის მოსამზადებელი კომისიის დავალებით შესავალი სიტყვა წარმოთქვა მწერალმა **რევაზ ჯაფარიძემ**.

ეს სიტყვა არ ჰგავდა ტრადიციულ შესავალ სიტყვებს, რომლებსაც აგრერიგად მივეჩვიეთ კომუნისტური თვითმმართველობის პერიოდში. ეს იყო ნამდვილად გულმხურვალე მამულიშვილისა და მწერლის ტკივილებითა და მომავლის იმედით სავსე სიტყვა, რომელშიც აირეკლა და მკვეთრად გამოჩნდა ქართული მწერლობის როლი და დანიშნულება ერის ცხოვრებაში.

ბატონ რევაზის წინადადებით შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მწერალთა მეათე ყრილობიდან დღემდე გარდაცვლილ თანამოკალმეთა, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ თვისტომთა ხსოვნას.

— გასული პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დრამატულია მწერალთა კავშირის ცხოვრებაში, — თქვა რევაზ ჯაფარიძემ, — იგი დაემთხვა უდიდეს პოლიტიკურ და სოციალურ ძვრებს ყოფილ სსრ კავშირში, ჩვენს ქვეყანაშიც. და ჩვენ ამ ძვრებისა და გარდატეხის მონაწილენი შევიქენით. თუ წინა ყრილობა კომუნისტური თვითმმართველობის პირობებში გაიმართა, დღევანდელი მიმდინარეობს დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში და ამას სულითა და გულით უნდა მივენდოთ. იწყება ახალი ერა ჩვენი ცხოვრებისა.

ქართველ მწერალთა არაერთი წარმომადგენელი საკუთარ სინდისთან კომპრომისზე არ წასულა და დღეს ჩვენ გვეამაყება, რომ შეიქმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ემსახურებიან ადამიანების ზნეობრივ, სულიერ სისპეტაკეს.

რევაზ ჯაფარიძემ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა ქართული მწერლობის სახელოვან ტრადიციებს საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში, დაასახელა ვრცელი სია რეპრესირებული მწერლებისა და მკაცრად გააკრიტიკა მწერალთა. კავშირის ხელმძღვანელობის ბოლოდროინდელი პოზიცია, განსაკუთრებით დიქტატურის პერიოდში, „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული „მიმომხილველის“ ოცდაათიანი წლების სულისკვეთებით გაჟღენთილი სტატია (რევაზ ჯაფარიძის სიტყვას ყრილობაზე სრულად გამოაქვეყნებს გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“).

შემდეგ ყრილობა გახსნილად გამოცხადდა. ყრილობის სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს მწერალი **გურამ გვერდწითელი**. ამის შემდეგ სიტყვა განცხადებისათვის ითხოვა პოეტმა **მუხრან მაჭავარიანმა**: მან გააკეთა ორი განცხადება, ხელმოწერილი მისი და მწერალთა ერთი ჯგუფის მიერ. განცხადებებში ლაპარაკი იყო ე. წ. „კანონიერი“ ხელისუფლების თითქოსდა უკანონოდ დამხობის ფაქტზე და მისი, როგორც მწერალთა კავშირის თავმჯდომარის უსაფუძვლო გადარჩევის შესახებ. მუხრან მაჭავარიანის მოწოდებას — ყრილობის სხდომა დაეტოვებინათ მის თანამოაზრე მწერლებს, დარბაზი დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია. გასასვლელისაკენ წასულ პოეტს გაჰყვა მწერალთა მცირერიცხოვანი ჯგუფი.

ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები — სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები. დამტკიცდა დღის წესრიგი:
1. ყრილობის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომისიის ანგარიში,
2. საქართველოს მწერალთა კავშირის ახალი წესდების მიღება,
3. საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობის მოსამზადებელი კომისიის ანგარიში დელეგატებს წარუდგინა მწერალმა **გურამ ფანჯიკიძემ**. მან დაწვრილებით ილაპარაკა კომისიის მიერ გაწეულ მუშაობაზე და მოუწოდა შეკრებილთ ეჩვენებინათ მთელი ერისათვის, რომელიც დაინტერესებულია ყრილობის შედეგებით, მიმტევებლობის, ურთიერთგაგების, ერთობის მაგალითი.

საქართველოს მწერალთა კავშირის ახალი წესდების პროექტის შესახებ ყრილობას მოახსენა პოეტმა **დავით მედლურმა**.

გაიმართა კამათი.

ყრილობის მუშაობის შედეგებს შემდეგ ნომერში გაგაცნობთ.

საქინფორმი.

ვარლამ გენბიურის ფოტო.

ახალი ამბები

გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის საკუთარი კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

შეგიძლიათ ბინის მესაკუთრე გახდეთ!

ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო ბინების პრივატიზაცია. ახლა თითოეულ ოჯახს შეუძლია ბინა საკუთრებაში მიიღოს. მაგრამ მხოლოდ მისი ერთი წევრი ხდება ბინის მფლობელი და შემდგომში მოიხმარს მას თავისი შეხედულებისამებრ.

თუ როგორ გავხდეთ ბინის მესაკუთრე, ამის თაობაზე ჩვენს კორესპონდენტს ახსნა-განმარტებას აძლევს თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე **ბატონი გია შერაძე.**

— ახლავე მინდა აღვნიშნო ერთი მომენტი: იმ მოქალაქეებს, რომლებმაც ბინები პრივატიზაციის შესახებ კანონის გამოსვლამდე გამოისყიდეს, უკვე აღარ აქვთ უფლება მოითხოვონ შეტანილი თანხა. ახლა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა პრივატიზაციის დებულება, რომლის საფუძველზეც უნდა განვახორციელოთ ეს ღონისძიება.

უწინარეს ყოვლისა, ბინის ძირითადი დამქირავებელი მიმართავს რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტს, სადაც მიიღებს შესაბამისი განცხადების ბლანკს. განცხადების ბლანკზე ძირითად დამქირავებელთან ერთად ხელი უნდა მოაწეროს ოჯახის ყველა სრულწლოვანმა წევრმა. რაც შეეხება საერთოსათავსებიან კომუნალურ ბინებს, აქ საჭიროა ამ სათავსის მოსარგებლე მეზობელთა თანხმობა, ხელმომწერ პირთა თანდასწრებით განცხადებას დაამოწმებს ნოტარიუსი. თვით ხელშეკრულების გაფორმებას კისრულობს საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტი, მისი მუშაკები შეაქვთ ზუსტი მონაცემები ბინის, მობინადრეთა რაოდენობის შესახებ, ამოწმებენ, არის თუ არა დავალიანება სახელმწიფოს წინაშე. ხელშეკრულება დასტურდება მომავალი მფლობელისა და ტრესტის მმართველის ხელმოწერებით. დოკუმენტთან ერთად გაიცემა ქვითარი ბოლო ორი წლის განმავლობაში ბინის გადასახადის ოდენობის შესახებ. ამ პერიოდში ელექტროენერგიის, ტელეფონის, რადიოსთვის დაგროვილი თანხის გაუთვალისწინებლად. ეს თანხა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს ბანკში, რის შემდეგაც კვლავ საჭირო იქნება ნოტარიუსის შესაბამისი აღნიშვნა. ბოლო ინსტანცია ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროა, სადაც ხელშეკრულება რეგისტრაციაში ტარდება, ხელზე კი გაიცემა დოკუმენტი საკუთრების უფლების შესახებ.

ყველა მესაკუთრეს, რა თქმა უნდა, აწუხებს გადასახადის თანხის საკითხი. ჯერჯერობით ეს მექანიზმი მუშავდება, რადგან პირველ ხანებში, ვფიქრობთ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იარსებებს ორი სახეობის საბინაო ფონდი — კერძო და კომუნალური.

მთაწმინდის რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტში, დღეისათვის მიმდინარეობს მზადება ამ ღონისძიების ორგანიზებული წარმართვისათვის, იმედს გამოვთქვამთ, რომ რაიონის მობინადრეები უკმაყოფილოები არ დარჩებიან ჩვენი მუშაობით.

რა ეღირება თხევადი გაზი?

17 თებერვლიდან რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის გაზის მომწოდებელმა ქარხნებმა ერთი ტონის შესასყიდი ფასი გაზარდეს 520 მანეთიდან 4800 მანეთამდე (დამატებით ღირებულებაზე გადასახადის ჩაუთვლელად). გაიზარდა აგრეთვე გაზის რკინიგზით შემოზიდვის ტარიფიც — 600-დან 700 მანეთამდე, ერთი ცალი თხევადი გაზის ბალონის ღირებულება კი 60-დან 312 მანეთამდე. მიზეზი — თვითღირებულების ზრდა. მკვეთრ გაძვირებასთან ერთად, შესაბამისად, გაიზარდა თხევადი გაზის თვითღირებულება და მისმა სარეალიზაციო ფასმა მოიმატა.

16 მარტიდან ერთი კილოგრამი თხევადი გაზის ფასი 10 მანეთი და 81 კაპიკია, ხოლო ერთი 27 ლიტრიანი ტევადობის გაზის ბალონისა, რომელშიც 11 კილოგრამი თავსდება — 119 მანეთი. ასეა ჯერჯერობით.

ჭორი სკოლასაც მისწვდა

როგორც იქნა, გაზაფხულდა. 23 მარტს დაიწყო ტრადიციული საგაზაფხულო არდადეგები. აქა-იქ ამბობენ: ისედაც ამდენი დღეები გაუცდათ ბავშვებს და რაღა საჭირო იყო არდადეგებიო. რესპუბლიკის განათლების სამინისტროში კი სხვანაირად ფიქრობენ, მართებულად მიაჩნიათ, რომ ასე დაძაბული ზამთრის შემდეგ ყმაწვილებმა უნდა დაისვენონ. თუმცა, გარკვეული ვითარების გამო, ახლაღა დაიწყო სწავლა სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში.

ხალხში ხმა დაირხა: თურმე დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები გამოსაშვებ გამოცდებს აღარ აბარებენო. ამის გამო ტელეფონით დავუკავშირდით რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სასკოლო დაწესებულებების სამმართველოს უფროსის მოადგილეს ბატონ ენგურ ქურციკიძეს. მან გვიპასუხა, რომ დღისა და საღამოს სწავლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს გამოცდა ექნებათ ოთხ საგანში. ქართულ სექტორზე: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — წერა, ზეპირი, ალგებრისა და ანალიზის საწყისებში — წერა და უცხოენაში — ზეპირი. არაქართულ სკოლებში იგივე საგნებს ჩაიბარებენ, ოღონდ, უცხოენის ნაცვლად — ქართულ ენაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლე, რომელსაც მეათე-მეთერთმეტე კლასებში საგამოცდო საგანში ჰქონდა შეფასება „ფრიადი“, ამ საგანში გამოცდას აღარ აბარებს და ატესტატშიც ფრიადი ეწერება.

რაც შეეხება პროფილური სწავლების სკოლებს, იქ გამოსაშვები გამოცდები განსხვავებულად ჩატარდება.

მეცხრეკლასელები სკოლას უგამოცდოდ ამთავრებენ. ვისაც სურვილი და ცოდნა ექნება, სწავლას მეათე კლასში განაგრძობს. ამისათვის კი ივნისში მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ შემდეგ სავალდებულო საგნებში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — წერა და საქართველოს ისტორიაში — ზეპირი. დანარჩენ ორ საგანს პროფილის შესაბამისად სკოლებში შეარჩევენ.

ახლა არდადეგებია. 1 აპრილს სწავლა განახლდება.

გელა დურგლიშვილი.

დამფუძნებელი ყრილობა

სოხუმში, აფხაზეთის პროგრესულ-დემოკრატიული კავშირის დამფუძნებელი ყრილობა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მონაწილეებმა განიხილეს პროგრამისა და წესდების პროექტები, ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება.

ხაზი გაესვა იმ ვითარებას, რომ ქართველი მოსახლეობა აფხაზეთში დაყოფილია, საჭიროა ყველა პროგრესული ძალის გაერთიანება, გაანალიზდა უზენაესი საბჭოს მუშაობა, აღინიშნა, რომ მისი პრეზიდიუმი ჯეროვნად არ იზიარებს ქართველთა ინტერესებს. ითქვა ისიც, რომ აფხაზეთის პროგრესულ-დემოკრატიული კავშირი არ არის პოლიტიკური პარტია, მის რიგებში შესვლა ნებაყოფლობითია.

აირჩიეს აფხაზეთის პროგრესულ-დემოკრატიული კავშირის საბჭო. თავმჯდომარედ არჩეულია ალექსანდრე ლომინაშვილი. ყრილობამ მიიღო ახალი ორგანიზაციის პოლიტიკური განცხადება.

იოსებ გოგიჩია.

შევისმინოთ და ვუთხრათ „ამინ!“

გუშინ, 25 (12) მარტს — ქართულმა ეკლესიამ იზეიმა დამოუკიდებლობის (ავტოკეფალიის) აღდგენის დღე



როგორც ცნობილია, რუსეთმა საქართველოში დამკვიდრებისთანავე გააუქმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) და კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა (აღმოსავლეთ საქართველოში — 1811 წელს, ხოლო დასავლეთ საქართველოში — 1814 წელს). საქართველოს ეკლესია ცალკე საეგზარქოსოს სახით შეუერთეს რუსეთის ეკლესიას და მის ეგზარქოსებად ინიშნებოდნენ რუსეთიდან მოვლენილი რუსი მღვდელმთავრები.

საქართველოს სამღვდელოებამ, როგორც იქნა, 75 წლის წინ, 1917 წლის 12 (25) მარტს აღადგინა ავტოკეფალია.

სვეტიცხოვლის ტაძარში ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს სიტყვა წარმოთქვა დეკანოზმა ნიკოლოზ თალაკვაძემ. მან ილაპარაკა ამ სანეტარო დღის მნიშვნელობაზე, მრავალტანჯული ქართველი ერის საერთო ზეიმზე. დეკანოზმა აღნიშნა ის დიდი უბედურება, რაც რუსეთის იმპერიამ თავს დაატეხა ქართველ ერს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

დეკანოზ ნიკოლოზ თალაკვაძის სიტყვა მთლიანად გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში“ 1917 წლის 19 და 21 მარტის ნომრებში.

ამავე წლის 17 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის პირველმა კრებამ სიონის ტაძარში კათალიკოზ-პატრიარქად აირჩია ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის აქტიური მებრძოლი, რუსეთის სასულიერო ხელისუფლებისაგან დევნილი **კირიონ II (გიორგი საძაგლიშვილი).**

ქართული სასულიერო მთავრობის გამგებლობაში აირჩიეს: გორის ეპისკოპოსი ანტონი, ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი, სემინარიის რექტორი კ. კეკელიძე, დეკანოზი ნ. თალაკვაძე, მღვდლები ვასილი და პოლიევქტო კარბელაშვილები. ერის კაცნი: იპ. ვართაგავა, გ. ბარნოვი, ს. გორგაძე, პ. კიზირია, ს. ახვლედიანი, თ. სახოკია, პ. ბარათაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, გრ. ყიფშიძე, ს. მგალობლიშვილი და დ. დავითაშვილი, თავმჯდომარედ კი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე.

1918 წლის 20 ივნისს, მარტყოფის მონასტრის საპატრიარქოს ბინაზე ვერაგულად მოკლეს ახალარჩეული კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ლეონიდე (ლონგინოზ ოქროპირიძე).

1919 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ორი წლისთავზე, რომელიც სიონის საკათედრო ტაძარში გადაიხადეს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ სიტყვით მიმართა სამწყსოს. მან თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

„ყოველი შუღლი და უთანხმოება მოქალაქეთა შორის, მოქალაქეთა გაყოფა და დანაწილება მოპირდაპირე ჯგუფებად, ჩაგვეთვლება სამშობლოს ხელახლად წაქცევად. შიგნიდან ციხის მტერთა გასახარად...

ქრისტესა და სამშობლოს სახელით მოგმართავთ ჩემს სულიერ ძეთა და ასულთ: სამუდამოდ დამავალეთ, მყავთ „შვილთა ზედა სიხარულევან მამად“, ყურად იღეთ ჩემი ვედრება, იყვარებდეთ ურთიერთანს, მოიშორეთ და დაივიწყეთ ყველაფერი, რაც ერთი მეორეს გაძულებთ, ერთი მეორისაგან გთიშავთ, გაბრკოლებთ მამულის საკეთილდღეოდ შეთანხმებულად მუშაობაში. მოსიყვარულე შვილებად შეუდექით მხრებში სამშობლოს და დაარწმუნეთ მტრები და მოყვარენი, რომ საქვეყნო საქმეების გარიგებაში დიდსა და პატარას გაქვთ ერთი ენა, ერთი ნებისყოფა და ერთი მხოლმხედველობა. იცოდეთ და გწამდეთ, რომ მარტოდ მარტო „სიყვარული აღაშენებს“, დაე ამიერიდან თქვენი შეთანხმებული მოქალაქეობით ჰსცნან ყოველთა, რომ ქართველებს გვიცოცხლნია და ვცოცხლობთ ღვთის სიყვარულით, რომ ჩვენ ვსუნთქავთ სამშობლოსა და მოყვასთა ბედნიერება-კეთილდღეობისათვის“.

როგორ მეორდება ისტორიაში ვითარებები. მსგავსი შეგონება და თხოვნა არც დღეს გვაკლია ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესისაგან. შევისმინოთ და ვუთხრათ ამ სიტყვებს „ამინ“!

სულიკო ნუცუბიძე.

სურათზე: „გზაში“. თამაზ ბიბილურის ფოტო.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ხოზიაშვილი.

რეკლამა რეკლამა რეკლამა

გეძლევათ შესაძლებლობა დააფუძნოთ თქვენი ბანკი!

ქ. თბილისში იძმნება სააქციო-კომერციული ბანკი კერძობანკი

ბანკის დაფუძნების შესაძლებლობა ეძლევათ მხოლოდ მოქალაქეებსა და არასახელმწიფო სექტორის საწარმოებს.

ერთი აქციის ნომინალური ფასია 50 ათასი მანეთი. შესაძლებელია რამდენიმე მოქალაქე ან იურიდიული პირი შეამხანაგდეს და შეიძინოს ბანკის ერთი აქცია. ერთი აქცია დამფუძნებელს აძლევს ერთი ხმის უფლებას.

წინასწარი გაანგარიშებით, კერძობანკის დამფუძნებელი აქციონერის დივიდენდის ოდენობამ მოსალოდნელია მიაღწიოს შეძენილი აქციების საერთო ღირებულების არანაკლებ 52 პროცენტს), მათ შორის ნაწილი — კონვერტირებული ვალუტით.

გწამდეთ, რომ კერძობანკი იქნება: თქვენი, თქვენი ოჯახის, თქვენი თაობების ბანკი; თქვენი კაპიტალის ზრდის უშრეტი წყარო; თქვენი საქმიანობის ღირსეული პარტნიორი და გარანტირებული მესაიდუმლე; თქვენი მაღალპროფესიული მრჩეველი.

გირჩევთ გახდეთ კერძობანკის დამფუძნებელი.

გელოდებით ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 15 საათამდე მისამართით: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №1 (ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლოს). ტელ: 31-17-85, 93-49-66.

საინიციატივო ჯგუფის სრულ შემადგენლობასთან შეხვედრის შესაძლებლობა გექნებათ ყოველ ხუთშაბათს 15 საათზე.

საინიციატივო ჯგუფი

ვისაც ახალი სპეციალობის მიღება სურს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ბიზნესის უმაღლესი სკოლა მეორე ახალი სპეციალობის მიღების მიზნით აცხადებს საბუთების მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის დღის, საღამოს და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:
— ერთობლივ საწარმოთა ორგანიზაცია და მართვა;
— ვაჭრობის მართვა და კომერციული საქმიანობა;
— ფინანსების მართვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში;
— წარმოების მართვის ორგანიზაცია;
— სამართალმცოდნეობა.

პირებს, რომლებიც წარმატებით დაამთავრებენ ბიზნესის უმაღლეს სკოლას და ჩააბარებენ სახელმწიფო გამოცდებს, მიეცემათ უმაღლესი განათლების დიპლომი, მეორე — ახალი სპეციალობის ჩვენებით.

საბუთებს მივიღებთ ამა წლის 25 აპრილამდე. გასაუბრება და ჩარიცხვა მოხდება 27-28 აპრილს.

სპეცფაკულტეტზე მიიღებენ პირებს, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება.

დამატებითი ცნობებისათვის: უნივერსიტეტის ქ. № 2, მაღლივი კორპუსი, ოთახი 1103, ბიზნესის უმაღლესი სკოლა.

ტელეფონი: 30-01-07; 30-40-73; ტელექსი 212291, „ჯვარი“.

ESM INTERNATIONAL

ევროპული განათლება და ევროპული დიპლომი-თბილისში

მენეჯმენტის ევროპული ინსტიტუტების საერთაშორისო
გაერთიანება თბილისში ერთობლივ უმაღლეს სასწავლებელს ხსნის

ინსტიტუტის კურსდამთავრებულები მიიღებენ ევროპის
თანამეგობრობის ყველა ქვეყანაში იურიდიული ძალის მქონე დიპლომს.

უმაღლესი სასწავლებელი მოამზადებს ფინანსების მენეჯერს, მარკეტინგის მენეჯერს
და საერთაშორისო-კომერციული საქმიანობის მენეჯერს.
სწავლების ვადა 5 წელია. სწავლება ფასიანია და ქართულ
ენაზე იწარმოებს. საბუთების მიღება ივლისში დაიწყება.
მიიღებიან საშუალო ან საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირები.
მისაღები გამოცდები უცხო ენაში (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული),
მათემატიკასა და ქართულ ენაში ჩატარდება.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მოგაწვდით დაწვრილებით
ინფორმაციას პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.
ცნობებისათვის დარეკეთ *39-16-73,*
ან მობრძანდით *ვაჟა-ფშაველას 40,*
თბილისის მენეჯერთა სკოლა, ოთახი *409.*

გავაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს, ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „გავაზი“ გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „გავაზს“ შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 48, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით. „გავაზი“ თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ!

თბილისის უნივერსალური ბირჟის მმართველობა იუწყება: დაწყებული 26 მარტიდან, ყოველ ხუთშაბათს ჩვენი ბირჟის საოპერაციო დარბაზში ჩატარდება ღია ვაჭრობა. რაც შეეხება ჩვეულებრივ ვაჭრობას ისინი როგორც ყოველთვის გაიმართება ოთხშაბათობით და პარასკეობით.

თბილისის უნივერსალური ბირჟა.

სამართალი

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან არსებული ფირმა „სამართალი“ გადაგიწყვეტთ ყველა იურიდიულ პრობლემას:

—სახელმწიფო, კოლექტიური, ინდივიდუალური (კერძო) საწარმოების, ორგანიზაციებისა და სხვა იურიდიული პირების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა,
— მცირე საწარმოს, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოების, ბირჟის, ...რო საწარმოს, ბანკის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ასოციაციის, კონცერნის, კონსორციუმის, უცხოური ფირმის ფილიალისა და წარმომადგენლობის, აგრეთვე სხვა სახის იურიდიული პირის დამფუძნებელი დოკუმენტების შემუშავება.
— კონსულტაციები სამეურნეო, სამოქალაქო და საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე,
— საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა,
— ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების პროექტების მომზადება,
— საარბიტრაჟო საქმეების წარმოება,
—ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზა და მომზადება,
— უცხოურ ფირმებთან მოლაპარაკებაში იურისტის მონაწილეობა.

მისამართი: თბილისი 380007, მთაწმინდის რაიონი, ქიქოძის № 3 (ყოფილი მახარაძის ქ.), ოთახი № 7, 20. ტელეფონები: 98-32-20, 98-32-05, ფაქსი 98-32-18.

მიღება ყოველდღე 10-დან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. აღნიშნული ტელეფონების ნომრების დაზიანების გამო, გთხოვთ მობრძანდეთ ფირმაში.

საქართველოს საადგილმამულო ბანკი „აღმაშენებელი“ აცხადებს აქციებზე ღია ხელმოწერას!

ჩვენი ერის ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკმა, რომელიც 1875 წელს დაარსდა და რომლის სულისჩამდგმელი იყო ილია ჭავჭავაძე, მთელი ოცდაათი წელი რომ მეთაურობდა ამ ბანკს.

1917 წლის 29 ოქტომბერს ბანკმა შეწყვიტა არსებობა, ვინაიდან თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებამ ბანკის ქონება მთელი ქართველი ხალხის საკუთრებად გამოაცხადეს.

თვლის რა აღნიშნული ბანკის მიერ დაწყებული დიდი ეროვნული საქმის გამგრძელებლად თავს, ფუნქციონირებას იწყებს საქართველოს საადგილმამულო ბანკი „აღმაშენებელი“, ერთ-ერთი უნივერსალური ბანკი, რომელიც თავის მოგების მნიშვნელოვან ნაწილს მთელი ერის ეკონომიკის, კულტურისა და განათლების აღმავლობას მოახმარს. ბანკის მთავარი ამოცანაა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და პრივატიზაციის პროცესებისთვის ხელშეწყობა და დაჩქარება.



ბანკი „აღმაშენებელი“ ერთ-ერთი უმსხვილესი საკრედიტო დაწესებულებაა, რომელიც მხოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაზე დაყრდნობით შემოგთავაზებთ დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების პროგრესულ ფორმებს, იგი თქვენი საიმედო პარტნიორი იქნება.

ყველა იურიდიულ და კერძო პირს, რომლებსაც გული შეგტკივათ საქართველოს აღორძინებისთვის, გთხოვთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ აქციების შეძენაში: ერთი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1000 მანეთს. იყიდება აგრეთვე 10.000 და 100.000 მანეთიანი აქციების პაკეტები.

ხელმოწერა „აღმაშენებლის“ აქციებზე შეიძლება როგორც ნაღდ, ისე უნაღდო ანგარიშსწორებითაც. შემნახველი ბანკიდან თქვენი ანაბრის გადარიცხვით „აღმაშენებლის“ ანგარიშზე.

ჩეკები, ობლიგაციები, ხერთიფიკატები შეგიძლიათ ჩააბაროთ შემნახველ ბანკში და გადარიცხოთ უნაღდო ანგარიშსწორებით „აღმაშენებლის“ ბანკის ანგარიშზე.

მხოლოდ საქართველოს საადგილმამულო ბანკის „აღმაშენებლის“ აქციის მფლობელებს ეძლევა უფლება დაუბრკოლებლივ მიიღონ საჭიროების შემთხვევაში ბანკიდან სესხი როგორც ჩვეულებრივი პირობებით, ისე გირაოთი.

იძენთ რა საქართველოს საადგილმამულო ბანკის „აღმაშენებლის“ აქციებს, თქვენ თავისუფლდებით უნიათო, არასაიმედო მანეთისგან. სანაცვლოდ კი გარანტირებული იქნებით დიდი დივიდენდით. ნაკლებად უზრუნველყოფილ (მრავალშვილიან) ოჯახებს კუთვნილი დივიდენდის გარდა მიეცემათ სპეციალური ფონდიდან დამატებითი დივიდენდი.

მოსალოდნელი დივიდენდი (მოგება) აქციებზე წლიურად 30 პროცენტამდე.

ბანკი უხდის ყველაზე მაღალ პროცენტს სადეპოზიტო შენატანებზე წლიურად 25 პროცენტამდე.

დივიდენდის ა -, მისი სურვილის შესაბამისად. შეუძლია როგორც მანეთებით, ისე უცხოური ვალუტით (დივიდენდის გაცემის დღისათვის სავალუტო ბირჟის კურსით).

ჩვენი აქციები საუკეთესო დაცვაა ინფლაციისგან!

ფული უნდა გადარიცხოთ საქართველოს საადგილმამულო ბანკი „აღმაშენებლის“ საკორესპონდენტო ანგარიშზე № 700161827, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო, კოდი 522726, მინაწერით: საქართველოს საადგილმამულო ბანკის „აღმაშენებლის“ აქციის შესაძენად.

მისამართი: ხეთაგუროვის ქუჩა, №26 (მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის სახლი), ბარათაშვილის ხიდთან.

ტელეფონი: 96-06-01; 96-92-46.

საქართველოს საადგილმამულო ბანკი „აღმაშენებელი“

გამოსათხოვარი

გივი ოდიშარია

ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქ რუსთავის მედიკოსთა რიგებს გამოაკლდა სახელგანთქმული დასტაქარი, რუსთავის საპატიო მოქალაქე, ომისა და შრომის ვეტერანი **გივი ამბროსის ძე ოდიშარია.**

გივი ოდიშარია დაიბადა 1917 წელს მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში, პედაგოგის ოჯახში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ გამოცდები ჩააბარა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1940 წელს ახალგაზრდა მედიკოსი ჯარში გაიწვიეს. ომის დამთავრებამდე, 24-ე ავიაბაზის ლაზარეთის ქირურგად მუშაობის პერიოდში, ათასობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა დასტაქრის სასწაულმოქმედმა მარჯვენამ. ომის დამთავრების შემდეგ იყო ვენისა და ბუდაპეშტის საავიაციო გარნიზონების ლაზარეთის მთავარი ქირურგი. 1948 წელს გ. ოდიშარია ჩამოვიდა მშენებარე რუსთავში და მეტალურგთა და ქიმიკოსთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დადგა.

1952 წელს გ. ოდიშარია დაინიშნა რუსთავის ახლად გახსნილი საავადმყოფოს პოლიკლინიკის მთავარ ექიმად. 1955 წლიდან 1985 წლამდე მუშაობდა მეტალურგიული ქარხნის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ. დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მედიცინის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ძვირად თუ ვინმეს ღირსებია ისეთი სიყვარული და პატივისცემა, როგორითაც ბატონი გივი სარგებლობდა, ეს იყო ჭეშმარიტი მედიკოსი და მოქალაქე, ზედმიწევნით სათნო და გულთბილი კაცი, პატიოსნებისა და სიკეთის ჭანსახიერება.

რუსთავქალაქის მკვიდრნი უკანასკნელ გზაზე მიაცილებენ ამაგდარ ადამიანს.

ნათელი ყოფილიყოს მისი ხსოვნა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას ქ. № 29. ინდექსი 64434.